# საერთო გაზეთი

№22 (662)
ოთხშაბათი
22 ივნისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## ვახტანგ ხარჩილავა: ესენი გვატყუებენ: ამათ საქართველოში ევროპის შემოყვანა კი არა, ხელისუფლებაში სააკაშვილის და ნაცმოძრაობის მოყვანა უნდათ...







ნაციონალები ქართველ ხალხს ქართველ ხალხთან საომრად ეპატიჟებიან?



## იგორ კვესელავა:

საქართველოს აქ მეორე ფრონტი რომ გაეხსნა, დარწმუნებული ვარ, ევროპარლამენტი სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა

## რამაზ საყვარელიძე:

ევროპაში შესვლაზე უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ევროკავშირში არ გვიღებენ და ამის გამო ვიღუპებითო, ეს ემოცია დამღუპველია



## პრეზიდენტ სალომეს ვნებანი




ანუ „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო"?!

## აუცილებელია უკრაინა და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ




## ერეკლე შონია:

სულიერება უნდა დავიბრუნოთ – პოტენციალი ერში ჯერ კიდევ არის, ამას უნდა ჩავეჭიდოთ, რომ გადავრჩეთ

## ქვეყნები, რომლებსაც ჯარი არ ჰყავთ

## რა ხდება „ღმერთის მონახულების" შემდეგ?

## ირანი – ჩვენი მეზობელი

ირანი გუშინ, დღეს, ხვალ

# ესენი გვატყუებენ: ამათ საქართველოში ევროპის შემოყვანა კი არა, ხელისუფლებაში სააკაშვილის და ნაცმოძრაობის მოყვანა უნდათ...

## ნაციონალები ქართველ ხალხს ქართველ ხალხთან საომრად ეპატიჟებიან?



**ვახტანგ ხარჩილავა**

საქართველო ჰგავს უფსკრულის თავზე გადაჭიმილ ბაგირზე მიმავალ ადამიანს, რომელიც ცდილობს, როგორმე მეორე ნაპირზე მშვიდობიანად გადააღწიოს, ქვემოდან კი აჯაგრული ბრბო მჭახე ხმით უყვირის, რომ დაიბნეს, წონასწორობა დაკარგოს და უფსკრულში ჩავარდეს.

30 წელიწადია, ეს ამბავი გრძელდება, 30 წელიწადია, ქართველთა ერთი ნაწილი ფსკერისკენ ექაჩება საქართველოს, მეორე ნაწილი კი მის გადარჩენას ცდილობს და ამ ჭიდილსა და ურთიერთგაქაჩვის პროცესში უზარმაზარი ძალა და ენერგია იხარჯება.

„ნაციონალური მოძრაობა", რომელიც მისი წინამორბედის მსგავსად, სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდა ხელისუფლებაში, ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ ისევ არეულობით, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებით, ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მთელი მისი საქმიანობა სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობების უწყვეტი ჯაჭვია.

ერთი ცდა მარცხით რომ დაუმთავრდება, მეორეს იწყებს, ისიც რომ ჩაუფლავდება, მეოთხეზე იწყებს ჩალიჩს და ასე შემდეგ.

პოლიტიკურ პარტიად წოდებულ ორგანიზაციას, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ ნორმებსა და ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს, ასეთი ღია, უტიფარი, თავხედური ანტისახელმწიფოებრივი „მოღვაწეობა", ყველგან, ყველა ქვეყანაში უმძიმეს დანაშაულად ჩაეთვლებოდა და აუცილებლად აეკრძალებოდა პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობა, მაგრამ საქართველოში ამის მიღწევა ვერა და ვერ მოხერხდა, თუმცა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაჟინებით ითხოვდა და დღემდე ითხოვს „ნაცმოძრაობის" გასამართლებას.

ამასობაში „ნაცმოძრაობა" 20 ივნისს მორიგი სახრლმწიფო გადატრიალების მცდელობის „პროექტი" დააანონსა, რომლის განხორციელებას 24 ივნისს, ანუ მას შემდეგ აპირებს, რაც საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე ოფიციალურად ეტყვიან უარს, რასაც „ნაცმოძრაობა" და მისი სატელიტები საქართველოს ხელისუფლებას აბრალებენ.

— ხელისუფლება უნდა გადადგეს, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, რომ ქვეყნის მართვის სადავეები ისეთმა პოლიტიკურმა ძალამ აიღოს ხელში, რომელიც „ქართული ოცნებასავით" ევროპას კი არ დაგვაშორებს, არამედ ევროპას შემოიყვანს საქართველოში, — აცხადებს რადიკალური ოპოზიცია და ქართველ ხალხს ამ ამოცანის შესასრულებლად საყოველთაო მობილიზაციისკენ მოუწოდებს.

სწორედ ამიტომ დაისაჯა საქართველო ამ ე. წ. ევროპული პერსპექტივით, ანუ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის გაურკვეველი ვადით გადაწევით, რამაც ფრთები შეასხა რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკურ ოცნებებს და იმედი ჩაუსახა, რომ მომავალ ბატალიებში ევროპა მათ მხარეს დაიჭერს.

საქართველოსთვის უარის თქმით წაქეზებულმა და გათამამებულმა „ნაცმოძრაობამ" მართლაც რომ გაბედოს აქ არეულობისა და დესტაბილიზაციის მოწყობა, როგორი ინტერესებიც შეიძლება ვერ ჯდებოდეს ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების ჩარჩოებში.

არის ამ რეპლიკაში რაღაც საგულისხმო და საყურადღებო ქვეტექსტი, რომელიც ღირს დაფიქრებად...

აბსოლუტურად ცრუ, დემაგოგიური და ფარისევლურია ოპოზიციის ხმამაღალი და პათეტიკური განცხადება, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი ისეთ იდეალურ სახელმწიფოს შექმნიან, რომ ევროპა აქეთ, თავისი ნებით, შემოვა საქართველოში.

— ომში ვეპატიჟებით ქართველ ხალხსო, — წამოსცდა ნიკა მელიას, თუმცა ის არ დაუზუსტებია, ომი ხელისუფლების დასამხობად რომ ამზადებენ, ავტომატურად ქართველი ხალხის იმ ნაწილისკენაც იქნება მიმართული, რომელიც ამ ხელისუფლებას უჭერს მხარს და იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც, შეიძლება „ქართული ოცნების" მხარდამჭერები არ იყვნენ, მაგრამ „ნაცმოძრაობის" სახელის გაგონებაც არ უნდათ.

გამოდის, რომ ნაციონალები ქართველ ხალხს ქართველ ხალხთან საომრად ეპატიჟებიან.

სამოქალაქო დაპირისპირების, სისხლისღვრის და უბედურების გარეშე იმ პროექტის განხორციელება, რომელიც ნაციონალებს და მათთან ერთად მათ თანამოაზრეებს აქვთ ჩაფიქრებული, შეუძლებელია.

ნაციონალები პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან, იქცევიან როგორც ოკუპანტები, რომლებიც ვერ ახერხებენ რა არჩევნების გზით გამარჯვებას, ცდილობენ, ძალადობრივი გზით დაიპყრონ ქვეყანა, დაიმორჩილონ, დააბეჩავონ, დააშინონ ადამიანები.

**„ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს ეროვნული უბედურებაა, რომელიც ამ ქვეყანას უეჭველად შეიწირავს, თუ მისი ალაგმვა ერთხელ და სამუდამოდ ვერ მოხერხდა.**

დღეს სწორედ ის ავბედითი მომენტია ქვეყნის ცხოვრებაში, როცა არსებობს ყველაზე ხელსაყრელი შანსი, ყველაზე ხელსაყრელი ფაქტორები ქვეყნის ასაყირავებლად, რაშიც ნაციონალებს გარე ძალებიც წააშველებენ ხელს, ოღონდ ხელისუფლებას „ქართული ოცნება" ჩამოაშორონ, რომელიც ქართული სახელმწიფოს, ეროვნული ინტერესების პრინციპული დამცველი აღმოჩნდა და არავითარ დათობაზე არ წავიდა, რომ აქ მეორე ფრონტი გახსნილიყო.

ევროპული პერსპექტივა იქნება ეს ქვეყნისთვის?

**ყოველგვარი გადაჭარბების და გაზვიადების გარეშე შემიძლია თამამად ვთქვა: დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია უფრო დემოკრატიული, უფრო ჰუმანური, ევროპული ღირებულებებისკენ მიდრეკილი ხელისუფლება, ვიდრე „ქართული ოცნებაა".**

მართალია, მის მუშაობაშიც იყო და დღესაც არის გარკვეული ხარვეზები და შეცდომები, მაგრამ ეს არ იყო იმ ტიპის შეცდომები, უფრო ზუსტად, კრიმინალური ხასიათის დანაშაულობები, როგორიც „ნაცმოძრაობის" რეჟიმს ჰქონდა, რომელიც მთლიანად კრიმინალზე იყო აგებული, რისი დამამტკიცებელი უამრავი ფაქტი არსებობს.

რატომ ვერ შეძლო ამის დანახვა და ობიექტური შეფასება ევროპარლამენტმა?

რაც საქართველოსთან მიმართებაში მოხდა, ეს უსამართლობაა და სწორედ უსამართლობად აღიქვამს ამას ქართველი ერი.

ევროკავშირზე ჩანაფიქრიც კი არ არსებობდა ბუნებაში, როცა მტრების ალყაში მოქცეული ქრისტიანული საქართველო მარტოდმარტო იცავდა ევროპულ ღირებულებებს, რომელიც მისი იდენტობის საძირკველი და ფუნდამენტია.

ამ ოცსაუკუნოვანი მარტოობის შემდეგ ისევ მარტო გვტოვებთ, პატივცემულო ბატონებო ევროპარლამენტიდან?

საქართველოზე მსჯელობისას გეოპოლიტიკაც და გეოგრაფიაც იქნა გაკვრით ნახსენები, რითაც მიგვანიშნეს, რომ საქართველო გეოგრაფიულად შორია ევროპიდან და, აქედან გამომდინარე, მისი გეოპოლიტიკური



არადა, თუ ამ ათი წლის განმავლობაში რაღაც ვერ გააკეთა ქვეყანამ, ეს, პირველ რიგში, „ნაცმოძრაობის" „დამსახურებაა", რომელიც უწყვეტი პროვოკაციებით მუდმივად არყევდა და აჯანჯღარებდა ქართულ სახელმწიფოს და აიძულებდა მას, ენერგიის დიდი ნაწილი მისი შეტევების მოსაგერიებლად დაეხარჯა.

რით ვერ გაიგეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა, რომ „ნაცმოძრაობის" მხარდაჭერა და, მით უმეტეს, მისი ხელისუფლებაში ხელახლა მოყვანის მცდელობა, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის შეურაცხყოფაა, მისი აბუჩად აგდებაა, მის სურვილზე ძალადობაა, ამას კი არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან და არც იმ 12 მუხლთან, რომლის შესრულება ევროპარლამენტმა სავალდებულო ნორმად დაგვიწესა.

წყალობად ბოძებულ ევროპულ პერსპექტივას პერსპექტივა რომ ჰქონდეს, ევროპარლამენტი მოითხოვს, დავაჩქაროთ დეოლიგარქიზაცია, თუმცა გაუგებარია, როგორ უნდა გავიგოთ ეს მოთხოვნა, ან როგორ უნდა შევასრულოთ იგი?

თუ დეოლიგარქიზაციაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას გულისხმობენ, ივანიშვილი ისედაც დიდი ხანია წასულია პოლიტიკიდან და ქვეყნის მართვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

ის არასდროს ყოფილა ოლიგარქი იმ გაგებით, როგორც ეს ტერმინი იშიფრება.

ის არის თავის ქვეყანაზე შეყვარებული პატრიოტი, მეცენატი, ქველმოქმედი, რომელმაც საქართველოს და ქართველ ხალხს უამრავი სიკეთე გაუკეთა.

**გამოაკელით ჩვენს ქვეყანას საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული სიკეთეები და ნახავთ, რანაირი ქვეყანა შეგრჩებათ ხელთ.**

ამის გამო უნდა დავსაჯოთ ბიძინა ივანიშვილი, ამის გამო უნდა შევრისხოთ და „დეოლიგარქიზაცია" უნდა მოვუწყოთ?

ეს რომ ჩავიდინოთ, მაშინ რა ხალხი ვიქნებით, რა ქვეყანა ვიქნებით, როგორ უნდა გავუსწოროთ თვალი მომავალს?

●

„ნაცმოძრაობა" განგაშეს ტეხს და პანიკას ქმნის: რადგან საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატად არ მიიღეს, თუ სიტუაცია სასწრაფოდ არ გამოვასწორეთ, საქართველო დაიღუპებაო.

ცრუ განგაშია ეს, გულუბრყვილო და მიამიტი ადამიანების შეცდომაში შესაყვანად და მათში საპროტესტო განწყობის გასაორმაგებლად გადმოგდებული.

თუ ქართველმა ერმა თავის ხელისუფლებასთან ერთად სიმტკიცე გამოიჩინა და ქართული სახელმწიფოს ინტერესები ბოლომდე დაიცვა, არ დაიღუპება საქართველო.

მთავარია, მშვიდად და მტკიცედ გავაგრძელოთ ის გზა, რომელსაც დღეს ვადგავართ.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ქართველი ხალხი და ქართველმა ხალხმა უნდა დაიცვას თავისი ხელისუფლება, ორივემ ერთად კი უნდა დაიცვას საქართველო მოძალადეთა ხელყოფისგან.

დღეს გმირობისა და საქართველოსთვის თავდადების გადამწყვეტი ჟამია.



**მინაწერი: 20 ივნისის აქციას რომ ვუყურე, დავრწმუნდი, ეს აქცია ნაციონალების ორგანიზებული იყო. ისინი, მართალია, წინა პლანზე არ ჩანდნენ, მაგრამ ყველაფერი, რაც აქციაზე ხდებოდა, „ნაცმოძრაობის" პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა და ეს სააკაშვილის მიერ ფეისბუქით გავრცელებულმა მიმართვამაც ეს დაადასტურა.**

**ასე რომ, აქციის მონაწილეები გვატყუებენ: მათ საქართველოში ევროპის შემოყვანა კი არა ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის" და სააკაშვილის მოყვანა უნდათ.**

# წყალწაღებულთა აქცია ევროპული შირმით

2022 წლის 20 ივნისი. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში სააშკარაოზე კვლავაც გამოსისინდნენ მოღალატეები - ბაღვაშ ლიპარიტებისა და გიგლა ბერბიჭაშვილების შთამომავლები. ოღონდ მათ ახლა ბაღვაშებისა და ბერბიჭაშვილების ნაცვლად სხვა გვარები აქვთ - ზოგს ისეთი აურჩევია, ზოგი უჯიშო ისეთ გვარზე გადმოფორმებულა, სულაც ვერ იეჭვებ, სული თუ აქვს ეშმაკისთვის მიყიდული. ისტორიას რომ გადავხედოთ, ძალზედ იოლად დავრწმუნდებით, რა ფანდებს მიმართავდნენ მოღალატეები, მათ ყოველთვის ჰქონდათ, აქვთ და მომავალშიც ექნებათ საკუთარი ანატომია - აბა, თქვენ როდისმე იფიქრებდით, რომ რუსებისა და ოკუპანტი რუსეთის დაუძინებელი მტერი ლიაკა (ჰელენ) ხოშტარია იმავე რუსეთიდან ყოველ კვარტალში 150 ათას დოლარს და 3 მილიონ რუბლს მიიღებდა? ჰა, აბა, მითხარით, ასეთ რამეს სიზმარშიც კი დაუშვებდით და წარმოიდგენდით? მოღალატეების მეთოდი ასეთია - მაგალითად, თუ ხარ უსახური კობა ნაყოფია, რუსეთში გაქვს სახლ-კარი, ბიზნესები და ჯიბეში გიდევს რუსეთის პასპორტი, ანუ ხარ რუსეთის მოქალაქე, უნდა გადმოდგე ტელევიზორში დილა-საღამოს და სხვებს ეძახო, შე რუსეთუმევ, შენაო!

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო?

გამოსისინდნენ, შინ გვინდა ევროპისკენო... დიახ, ევროპისკენო, ამოყვეს გველკუა თავები პარლამენტის წინ, შუა რუსთაველზე რუსეთიდან დაფინანსებულებმა - ზოგს თეატრიდან რომ ერიცხება ნაარმევი ფული და ზოგს კიდევ - რომელიღაცა მუსიკალური კოლექტივიდან. რა თეატრი, რის ბალეტი, სადაური მუსიკალური ცენტრი? ეგ ფეესბეა, საბჭოთა კაგებეს მემკვიდრე. ჰოდა, ჰელენა ხოშტარია კიდევ იმისი შვილია, გოგია ხოშტარიასი, ზვიად გამსახურდიას მთავრობაში ყველაზე უხეირო მინისტრი რომ იყო და ბოლოს იგივე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ავტომატითაც რომ დარბოდა. ამათ სამშობლოს წინააღმდეგ რამდენიმე ღალატი უკვე ჩადენილი აქვთ და ახლა მორიგს ამზადებენ, რუსეთიდან ამზადებინებენ ევროპის სახელით.

19 ივნისს ისეთები გამოსისინდნენ და საზოგადოებას მოუწოდეს, „ნაციონალების" აქციაზე გეპატიჟებითო, მე პირადად შევკრთი. არა, რუსუდან ფეტვიაშვილისა და თამარ ჭოხონელიძისა არ გამკვირვებია, ტელე „იმედში" რომ ძალიან ბევრი გველკუა ყოფილა, ეგ გამიკვირდა. ვააა... ვის აძლევთ ამოდონა ხელფასებს, ვის აგრიმიტებთ, ვის ევლებით თავზე, ნამუსი აღარ არი? ამჯერად ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს მივმართავ!

პარლამენტის წინ სცენა გაამზადეს გიგა ბოკერიას რჩევით და თამარ ჩერგოლეიშვილის სცენარით. ე.წ. საპატიო სცენაზე ჩამოსხდნენ ინგა გრიგოლია, ნინო ჯანგირაშვილი, ვახო სანაია და ასე შემდეგნი. უნიჭო შოუ, ეს გახლდათ დასაწყისი „თბილისური მაიდნისა". ჰო, ზალა უდუმაშვილიც სცენაზე ზის, ჟიჟილაშვილიც, ეკა მიშველაძეც. დიახ, ყველა, ვინც კი დედამ და მეზობელმა დასწყევლა. მათ უკან ტელეუბორნია „ფორმულას" ბანერია, ევროკავშირისა და საქართველოს დროშებიც. ისეთი გაფორმებაა, გეგონება აქციას მართლა ევროპის მოსურნე ელემენტები აწყობენ.

შუა რუსთაველზე მიუთრევიათ „სტოლი". შემოსხდომიან და მსჯელობენ, თუ რამფერი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპეიზმს ჭუტლექსური გარემოსთვის.

დიღმელაშვილიც მიუწვევიათ, ეროვნებით რუსი და გვარად გაგარინი, რომელიც გვიხსნის, როგორ ვერ გაიგეს ქართველებმა ევროპეიზმის გემო.

არა, რააა... არც ეზარებათ, არც არაფერი, გამაათრევენ „სტოლსა" (შალო ნათელაშვილი რო დაათრევდა ხოლმე ე.წ. ტრიბუნას, კუბოს თავსახურს), წაათრევენ, გამაათრევენ, წაათრევენ.

დიანა ტრაპაიძის თქმით, ჰმ, ყმ, დიახაც, იმდენჯერ გამაათრევენ, რამდენჯერაც ჭუტა გაიღვიძებს!

ინგა გრიგოლიას განცხადებით კი... თუ ევროპეიზმის შეთვისება გინდებლარიენ, „სტოლის", „სტაქნებისა" და „ჩაშკა-ლოჟკების" გამოტანა არ უნდა დაგეზაროს. მა როგო გინდათ?!

არა, გაგარინი რო ევროპიულობაზე გველაპარაკება, ეგ არი ყველაზე მაგარი ანეკტოდი! ულვაშები რო მოუშვია? გეგონება ტრაწიანი წკეპლა გადაუჭირებიათო!

იულონ გაგოშიძეს დაუძახეს, ინგა გრიგოლიამ მიმართა, მიხარია, ერთად რომ ვდგავართო. იქნებ გვითხრათ, რატომ ვართ დღეს ჩვენ აქ, რას ვაკეთებთო? იულონმა, დღეს ჩვენ ტრაგიკულ მდგომარეობაში ვართო. ჰმ... ტრაგიკულში იქნება ბატონი იულონი, აბა, რა? კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ ეროვნულ მუზეუმში თავისი ოჯახის 15-მდე წევრი ჰყავდა დასაქმებული და ყველა გაუთავისუფლეს. რომელი გაგოშიძეც ჯერ არ იყო დაბადებული, იმათთვის კიდე ადგილები ჰქონდა შენახული, დაიბადებიან და უნდა იმუშავონო. ქერის ორმოში ცხოვრობდნენ იულონები, მოვიდა თეა წულუკიანი და ერიჰაააა... რამდენიმე დღეში დაშალა და გააცამტვერა ისტორიული კლანი.

ჩემთვის მოულოდნელად... ეკრანზე დავით გამყრელიძე გამოჩნდა, მე აქციაზე შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მოვედიო. ჰა, ჰა, ჰა... ელდა მეცა, სულ მეგონა, ბატონი დავითი ბოლმის გარეშე გაეცალა პოლიტიკას, თურმე არასოდეს უნდა თქვა არასოდეს, როცა საქმე ეხება ქართულ პოლიტიკას და პოლიტიკოსებს, მით უფრო პენსიონერ პოლიტიკოსებს. ჰაიმეეე... გამოვიდა დავითი და ისეთები ილაპარაკა, ისეთები იაბდაუბდა, მიმიქარავს გაღლეტილი „ნაციონალი", ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს და ამ ხელისუფლებას გადააბრალა. მეო, ჯერ კიდევ 2011-ში ვთქვი, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, რომ რუსეთში ნაშოვნი ფულის პატრონი რუსული გავლენებისგან თავისუფალი ვერ იქნებოდაო. აფსუს, დავით, შენ რომ „მაყუთი" საქართველოში იშოვე, ერთი „კაპეიკი" თუ დაახარჯე ვინმეს და რამეს? ჰა, გამოდი, თქვი, ჩამოფქვი, იქნებ ეს ქვეყანა შენ ააშენე და არ ვიცით? არა, წარმოგიდგენიათ? თავხედობა გამიგია, ეგეთი არა!

აქციაზე გაუშვეს ვიდეო ლანა ღოღობერიძისა. მისი აზრით, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ერთად დგომა და სიყვარული, ჩვენ ევროპიელები ვართ.

როგორც უფლებადამცველმა თამაზ ბაკურიძემ მითხრა, ბათუმში დაახლოებით 1500 ადამიანი შეიკრიბა, ორიოდე გამომსვლელს მოუსმინა და დაიშალა.

ზუგდიდში აქცია ჩავარდა!

ქუთაისშიც ჩავარდა!

რაც შეეხება თბილისს, ლაშა ბუღაძის თქმით, ჩვენ აქ უნდა ვიდგეთ ამ დღეებში, რათა ჩვენი ერთობა დავანახოთ გმირ უკრაინელ ერს. წარმოგიდგენიათ, რამხელა ცდომილებაა ლაშა ბუღაძის გაცხელებულ თავში? ჩვენ უნდა ვიდგეთ რუსთაველზე, რათა ჩვენი ერთობა დავანახოთ გმირ უკრაინელ ერს. ანუ რას სთავაზობს ბუღაძე უკრაინელებს, მხოლოდ დგომას? მერე, ფეხებზე არ ჰკიდიათ უკრაინელებს შენი დგომა? მათ სხვა რამე უნდათ, მათ გვამების მხრივ უნდა შევხედოთ, აქაც თუ ჩამოცვივა ბომბები, ისინი ამოისუნთქებენ, გაიგონე, შე ჩმორო?!

ბუღაძის მტკიცებით, ივანიშვილს არ უნდა, რომ ევროპის ნაწილი ვიყოთ, ეს უნდა მხოლოდ გია ბუღაძეს, მამამისს... ეს უნდოდა ბაბუამისს, ბაბუამისის ბაბუას და ასე შემდეგ. არც ირაკლი ღარიბაშვილს უნდა, ივანიშვილის პრემიერმინისტრს, არც მის პაპას უნდოდა ევროპიელობა, არც მის პაპის პაპას და ასე შემდეგ.

როგორც ამბობენ, აქციები უნდა გაგრძელდეს პერმანენტულად. გამოდის, ხვალ უფრო დაცოტავდებიან, ზეგ უფრო მეტად დაცოტავდებიან, შემდეგ დღეებში ნელნელა მიილევიან და მორჩა, რუსთაველიდან ოფლის სუნთან ერთად გაქრებიან.

სცენაზე გამოიყვანეს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, რომელმაც თურმე 2008 წელს საქართველო იხსნა ფინანსური კოლაფსისგან. ეს ადამიანი რომ ამოთხარო და სცენაზე დააყენო, ხომ უნდა ამას მოფიქრება? თან რომ გამოაცხადო, ამ კაცმა ფინანსური კოლაფსისგან გვიხსნაო, ამასაც ხომ უნდა მოფიქრება?

ასეთი სისულელეების გამო (მე ასე მგონია), დაახლოებით 10-ის ნახევრისთვის აქციაზე ხალხი საგრძნობლად შეთხელდა. აბა, აქციაზე სეირის საყურებლად მოსულ ხალხს ქადაგიძეს რომ დაუხვედრებ, რა იქნება? ამათ ევროპა ისე უნდათ, როგორც მე მინდა ვინიტუ ინცუჩუნას სიძეობა. როდის იყო, რუსული ფულით ევროკავშირში შედიოდნენ? - კუბილიუსისგან, ფოტიგასგან და რამდენიმე სხვათაგან, ისეთი დაღვლარჭნილი გვარები აქვთ, ვერ ვიმახსოვრებ. ისევ ის თქვეს, რასაც ადრე ამბობდნენ, ახალი არაფერი თქმულა, ყოველი შემთხვევისთვის ჩაიბანეთ და ოდესმე ევროკავშირში მიგიღებთო, ახლა კი კარი ღიააო. ცინიზმი და თავის მოჭრა.

მოკლედ, ესენი, ეს უილბლოები შეიკრიბნენ, დაიშალნენ, ალბათ კიდევ შეიკრიბებიან, ალბათ კიდევ დაიშლებიან და მერე? არც არაფერი, ქატო იქა, ფქვილი აქა, ტლაპო იქა, სუფთა წყალი აქა... „დედაო" ლანა ღოღობერიძის მადლი ფარავდეს იმათ აქციას, მეტის ღირსნი მაინც არ არიან!









გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# პრეზიდენტ სალომეს ვნებანი

## ანუ „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო"?!



### მცირეოდენი შესავალი

მოდით, ყველაფერი თავიდან გავიხსენოთ... უფრო სწორად, თავიდან კი არა, იქიდან, ჩვენმა საპრეზიდენტო კანდიდატმა რომ წაიფორთხილა და კინაღამ „კაგებეშნიკ" გრიგოლ ვაშაძესთან წააგო. ალბათ გახსოვთ, საქმე მეორე ტურამდე მივიდა და რომ არა ქართველი ხალხის მოწადინება, აქ იმნაირი ამბები დატრიალდებოდა, დედები შვილებსაც კი აღარ აიყვანდნენ ხელში. რაღა დაგიმალოთ, სალომე ზურაბიშვილის გასაპრეზიდენტებლად ბიძინა ივანიშვილიც კაი გვარიანად გაისარჯა - საქმე იქამდეც კი მივიდა, კანდიდატის ბანერებზე მისი სურათები გადააკრეს, რათა ქართველ ამომრჩეველს უფრო მეტი ნდობა და სიმპატია გასჩენოდა. ეს მოხდა 2018 წლის შემოდგომაზე - მაშინ ბეწვის ხიდზე გავიარეთ, ე.წ. ოპოზიციამ იმდენი იკადრა, იმდენი ფული დახარჯა, იმდენი იწვალა, იმდენი აყალბა, კინაღამ საწადელს მიაღწია. აქ იყო ერთი მომენტიც - მაშინ ბევრს ეგონა, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლები, მოწოდებები და ღია მხარდაჭერა საკმარისი აღმოჩნდებოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ თვით კანდიდატი იყო საზოგადოების ნაწილისთვის იმდენად მიუღებელი, მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო.

რა უნდა გვექნა? „ნაციონალების" მიერ წარმოდგენილი გრიგოლ ვაშაძე ჩვენი ქვეყნისთვის იქნებოდა სრული კატასტროფა, მისი გამარჯვება იყო დაუშვებელი. ამიტომაც დაირაზმა ერი და ბერი, მე პირადად ჩავედი სიღნაღში, ვიარე სოფელ-სოფელ, გავწიე პროპაგანდა და წაგებული სოფლები შემოვატრიალეთ, მოვიგეთ. „ნაციონალების" ნამოქმედარი ვნახე, იმის დედა ვატირე, ყოველი მეორე ოჯახი ჰყავდათ დაშინებული, დაშანტაჟებული, მოსყიდული. მოსახლეობას ჩააგონებდნენ, ჩვენ უკვე მოვედით, უბრალო ფორმალობაღა დარჩა, ივანიშვილიც თანახმაა, ხელშეუხებლობის გარანტია ითხოვა, ერთ კვირაში „ქართული ოცნება" ძალაუფლებას ჩვენ გადმოგვაბარებსო. ჩვენი მოსახლეობის ნაწილმა მართლა დაიჯერა, რომ ძალაუფლების გადაბარების პროცესი მიდიოდა და ხმა ვაშაძეს მისცა. კი, ჩვენ ძალიან დიდ ვირეშმაკობასთან გვქონდა საქმე, მაგრამ ფაქტია, გულუბრყვილო ადამიანებმა მაინც დაიჯერეს. ასე იყო თუ ისე, საპრეზიდენტო არჩევნები მოვიგეთ, იმ ეტაპზე შვებით ამოვისუნთქეთ, ქალბატონ სალომეს მივულოცეთ, ჩვენ წილადაც გავიხარეთ, ტაშიც დავცხეთ და იმ იმედით, რომ სამშობლოში სიმშვიდე დაისადგურებდა, ოჯახებს დავუბრუნდით. თუმცა, დავუბრუნდით რა, იმ ერთ კვირაში ისეთები გადავიტანეთ, თუ არ ვცდები, სულ მცირე, ხუთი წლის სიცოცხლე იქ ჩავტოვეთ. ყველაზე მეტი კი ბატონმა გელა გელაშვილმა ჩატოვა, სიღნაღის რაიონის ყოფილმა მაჟორიტარმა. ეს ადამიანი მეორე ტურისას ზურაბიშვილის წარმომადგენლად დაინიშნა და ფაქტობრივად შტაბის უფროსობა იკისრა. მახსოვს, ერთხელ შაქარმა ისე აუწია, კინაღამ წერილი წაიღო გაღმა. თქვენ გგონიათ, ვინმემ მადლობა უთხრა? არა, თქვენც არ მომიკვდეთ.

ჩვენ არავის არაფერს ვაყვედრით, პირადად ჩემთვის იქ წასვლა და მუშაობა არავის უთხოვია, გელა გელაშვილსაც რომ არ ჰქონოდა სურვილი, ვერავინ დააძალებდა, ასე ჩვენი სურვილით მოვიქეცით, „ქართული ოცნების" კანდიდატი ვინც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ასე მოვიქცეოდით, რადგან „ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვებას ვერ დავუშვებდით.

### რა იყო შემდეგ?

შემდეგ იყო ის, რომ ერთი-ორმა საქმეში ჩახედულმა პიროვნებამ მითხრა, ნაადრევად გიხარია, ეგ ქალი ისეთებს დაატრიალებს, გაოგნდებიო. მაიცა ერთი, შევა ორბელიანების სასახლეში, მშვენიერი პირობები ექნება, ზამთარში სითბო, ზაფხულში - სიგრილე, ჭამა, სმა, სეირნობა, მეტი რაღა მოუნდება-მეთქი? კაცო, შენ მაგას არ იცნობ, ქვას ააგდებს, თავს შეუშვერს და ქოშებს უკუღმა აჰყრისო. არ არსებობს-მეთქი. ჰმ... ალილო და ხვალეო.

რა ალილო, რა ხვალე? გავიდა რამდენიმე დღე და... ინფორმაცია მოვიდა, სალომე ორბელიანების სასახლეში არ შედის, შიდა რემონტი არ მოსწონს - არც განათება მოსწონს, არც ლუსტრები, არც ფერები, არც ისა, არც ესაო. მერე, მთავრობა რას აპირებს-მეთქი? რას აპირებს და ხელახლა უნდა გაარმონტონო. დაახლოებით ორი კვირა მოუნდნენ, თითქმის ყველაფერი შეცვალეს და ანტიკვერული ავეჯი და ნივთებიც შეუტანეს. მე არ ვყოფილვარ, არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, იქაურობა ანტიკვარებით გამოუტენესო. კაი, ბატონო, ეს მაინც ქალურ კაპრიზად ჩავთვალე და არაფერი დამიწერია, იქნებ ადამიანი იმ ფერებსა და ნივთებს ვერ იტანს, რაც იქ დახვდა, ბოლო-ბოლო, ქალია და გუნება-მეთქი. ჯერ სად ხარ, აწი ნახავ არაერთ სეირსო.



ახლა რომ მოვყვე, ჩემი პრეზიდენტი მთლად სამართლიანად იქცეოდა და ახლა აურია მარო ბაბოსავით-მეთქი, მოგატყუებთ, ალბათ გახსოვთ, პირველი სკანდალი შეწყალებების თემაზე აუგორდა, თურმე რომელიღაცა თანაშემწე თუ მრჩეველი შედიოდა, რაღაც ქაღალდებზე ხელს აწერინებდა და ბოლოს გაირკვა, თურმე ხელს საეჭვო ტიპების გამოშვებაზე აწერინებდა. მე ცოტა ნაკლებად მჯერა (ზოგიერთს კიდევ საერთოდ არ სჯერა), რომ მან არაფერი უწყოდა და ვინმე თანაშემწე ბალღი აბრმავებდა, მაგრამ შემდგომში ეს საქმე ოფიციალურად ასე „გაპრავდა".



სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაც სკანდალების ფონზე წარიმართა, ჯერ იყო და იქ ისეთები დაპატიჟეს, მოღალატეს, გოიმს და გათახსირებულს რომ ემახდნენ; მეორეც - იქ ისეთები არ დაპატიჟეს, მის გამარჯვებაში ოფლი რომ ჩაღვარეს. ყველაზე მაგარი სკანდალი მაინც ის იყო, „ნაციონალები" თელავის „კარიბჭეს" რომ მიადგნენ და სოფელ ველისციხესთან გაიჭედნენ (შეაჩერეს), რაც მაშინ ე.წ. ოპოზიციამ იკადრა, სალომე ზურაბიშვილს დღემდე ძაღლის ნაკბენივით უნდა ახსოვდეს, მაგრამ პერიოდულად ისე იქცევა, ვითომც არაფერი მომხდარა. არა, მესმის, რომ ის პრეზიდენტია და ისე უნდა მოიქცეს, თითქოს ყველას პრეზიდენტია, მაგრამ მაშინ ნება იბოძე და სიმართლეს ემსახურე, ეშმაკებთან შერიგება-ჩახუტებას ნუ ითხოვ!

სალომე ზურაბიშვილს აშკარად ეტყობოდა, რომ ნელ-ნელა ნირს იცვლიდა - ხან საყოველთაო შერიგების იდეა შემოაგდო, ხან ეროვნული თანხმობა მოიგონა, ხან ე.წ. ოპოზიციონრები დაპატიჟა საპრეზიდენტო სასახლეში და შამპანურით გაუმასპინძლდა (თავისი მომხრეები არასოდეს გახსენებია), მაგრამ ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი მაინც ვერ შემოგვთავაზა, რანაირი დაფანტული გონებაც აქვს, დღემდე იმნაირი დაფანტული პოლიტიკით იმოღვაწევა. იყო რაღაცნაირი ნაბიჯები, იყო წაკბენები, ვითომ დამოუკიდებლობისკენ და თვითმყოფადობისკენ ლტოლვა, როგორც მის წინამორბედ აჯამ მარგველაშვილს რომ ჰქონდა, მაგრამ ფაქტობრივად ბევრს ვერაფერს აფუჭებდა. ამ ბოლოს ირაკლი კობახიძემ თქვა, ვერც ადრე ვიგებდით, მადამ პრეზიდენტს რა უნდოდა, ვერც ახლა ვიგებთ, რა უნდაო. ჰოდა, როცა ვერ ვიგებდით, რა უნდოდა, რა პრეტენზიები უნდა გვქონოდა? სართოდ, „ქართული ოცნებისგან" და მთავრობისგან დისტანცირებულების გაფუჭების პროცესი იწყება ხოლმე ბიძინა ივანიშვილის გინებიდან... ესე იგი, როცა იწყება უმადურობა, სწორედ მაშინ იწყება „განდეგილის" გაფუჭება. და აი, დადგა ეს დროც - კვირანახევრის წინ ბრიუსელიდან გამოტელევიზორდა პრეზიდენტი და მოგვმართა „ძრიან" (ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე ეგრე) საგანგებოდ: მეო, როგორც პრეზიდენტი, ჩემ ქვეყანას ვერც ნიკა გვარამიას გადავაყოლებ, ვერც მიხეილ სააკაშვილს და ვერც ბიძინა ივანიშვილსო. გაიგონეთ, ხალხო? ვერც სააკაშვილს და ვერც ივანიშვილსო, ყაჩაღი და ქველმოქმედი ერთ სიბრტყეზე დააყენა, ერთმანეთს გაუთანაბრა. ატყდა ერთი ამბავი, ამ დაუფიქრებელ (იქნება დაფიქრებულს) განცხადებას ქართულ საზოგადოებაში ძალზედ მწვავე რეაქცია მოჰყვა, ეს რა ჰქენ, ასე რამ გაგაბრიყვა, ქალოო?! შეცბუნდა მადამ პრეზი-



დენტი, მიხვდა, ან ვერ მიხვდა და მიახვედრეს, ამხელა სისულელე არ უნდა გეთქვაო, გამოტელევიზორდა ისევ ორიოდ დღეში და გაასწორასავით თავისი ნათქვამი, ეგრე არ მითქვამს, ივანიშვილი და სააკაშვილი არ გამითანაბრებიაო. მარტო ეს თქვა, მეტი არაფერი, ივანიშვილისთვის ერთი მადლობაც არ გადაუგდია. არადა, კი არ უნდა გადაეგდო, თავის დაკვრით უნდა გადაეხადა. უმადურთა წრეებში მაშინვე დაიწყეს, რაკი გააპრეზიდენტა, მისი მუდმივი მონა ხომ ვერ იქნებაო? ეს გახლავთ პროვინციული გაგება - ვინ ამბობს, რომ ზურაბიშვილი ივანიშვილის მონა უნდა იყოსო? ან კი რაში სჭირდება ივანიშვილს მონები? აქ საუბარია მადლიერებასა და ზომიერებაზე. ჯანსაღი კრიტიკაც მოსულა, შენიშვნაც მისაღებია, მაგრამ ავანტიურისტებთან გათანაბრება ნამეტანი ავანტიურიზმია!




## ამბობენ, ჩვენი პრეზიდენტი 30 ვერცხლად გაიყიდაო!

ჩემმა ხანგრძლივმა გამოცდილებამ მაჩვენა და დამარწმუნა, რომ ადამიანებში, თუნდაც პრეზიდენტებში, მსგავსი ცვლილებები უმიზეზოდ არ ხდება - როდესაც პიროვნება უკიდურეს უმადურობას იჩენს, სინდის-ნამუსს არად დაგიდევს და სირცხვილის გრძნობასაც საერთოდ კარგავს, ის ან „დავერბოვკებულია“, ან კიდევ ავადაა. როგორც უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ამტკიცებს, სალომე ზურაბიშვილი 30 ვერცხლად გაიყიდა:

„ამ შემთხვევაში ყველაფერი გარედან იმართება - თეიმურაზი შვილი), რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, კვალიფიკაციითა და უნარებით არაფრით გამორჩეული და სრულიად გამოუცდელი კადრია, ჯერ საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩევლად, ხოლო შემდეგ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ მრჩევლად დაუნიშნეს ამერიკისა და აზიის საკითხებში.

ქეთევანი, რომელიც „ფრანს 24“-ის ერთი უბრალო სპორტული რედაქტორი იყო, უსწრაფესად დაუწინაურეს, თეთრ სახლსა და ვაშინგტონში კორესპონდენტად დაუნიშნეს - შედეგიც სახეზეა: ახლა სწორედ ევროპა და ამერიკა ამუშავებს სალომე ზურაბიშვილს „ნაცმოძრაობის მხარდამხარ, საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ. სალომემ იცის, რომ მისი უფროსების მთავარი სამიზნე სწორედ ივანიშვილია და ყველაზე მეტად მასთან დაპირისპირებას დაუფასებენ. „ქართულ ოცნებას“ ახალი ოპონენტი და ოპონირების ახალი ხაზი გაუჩინეს. სალომეს დიდი რესურსი არა აქვს, მაგრამ კომპრომეტირებული და გაჭირვებაში მყოფი ოპოზიციისთვის მისი შეხიდებაც გარკვეული შეღავათია“.

დავით ქართველიშვილის აზრით, სალომე ზურაბიშვილისგან ბევრი არაფერი გამოდნება, მაგასაც ისევე აწვალებენ ცოტა ხანი, როგორც თავის დროზე მარგველაშვილი და გახარია აწვალეს და ამით დასრულდება მთელი ეს ისტორია. ვეთანხმები ბატონ დავითს, საქართველოს პრეზიდენტს მოსახლეობაში რა წონა, რა გავლენა და რა „ბაგაჟი“ აქვს, 16 ივნისს ევროპის მოედანზე მის მიერ გამართულ აქციაზეც გამოჩნდა - პოლიციას, ჟურნალისტებს და სეირის მოყვარულებს თუ გამოვაკლებთ, დაახლოებით 50 აქტივისტი გამოიყვანა. ეს ის მომენტია, როცა თავი გავლენიანი ფიგურა გგონია და ამ დროს 0001%-იანი წონადობაც კი არ გაგაჩნია. საერთოდ, ზედმეტმა წარმოდგენებმა აქამომდე ბევრი გააფარჩაკა (მათ შორის მისი წინამორბედები) და ბუნებრივია, ვერც სალომე ზურაბიშვილი იქნება გამონაკლისი. მით უფრო, ვინც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „გაილაშქრა“, ყველა ნულზე დაჯდა. სიტყვა „გაილაშქრა“ ბრჭყალებში საგანგებოდ ჩავსვი, სად აქვთ სალომეს და მისნაირებს ივანიშვილის წინააღმდეგ გალაშქრების თავი?! ამას კახეთში ტილაობას ეძახიან!

ძალიან სამწუხაროა, რომ სალომე ზურაბიშვილი იმეორებს დესტრუქციული, მავნებელი ოპოზიციის, ქვეყნის მტრების განცხადებებს და მათ ნარატივში ჩაჯდა, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და იმ წამსვე მე პირადად ყოველგვარი იმედი გადამეწურა, რომ დიდი ომითა და ვაებით გაყვანილი პრეზიდენტი გონს თუ მოეგებოდა. მეტიც, მე ის დღეები მახსენდება, როცა მეუბნებოდნენ, ნაადრევად ზეიმობ, ეგ ქალი ქოშებს ჰაერში უკუღმა დაატრიალებს და შეიძლება ჯამ-ჭურჭელიც შემოანარცხოს კედლებსო. სხვათა შორის, მადამ პრეზიდენტი პოლიტკორექტულობაშიც არის შემჩნეული - როდესაც ბრიუსელიდან რაღაცნაირი განცხადებები გამოაცხო, იქვე ჩაღვლარჭნა, მე უფრო მეტს გავაკეთებდი, მაგრამ საქართველოს მთავრობიდან სხვადასხვა ქვეყნებში ვიზიტების გაგრძელებაზე უარი მითხრესო. ირაკლი ღარიბაშვილმა კი მეორე დღესვე თქვა, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყველა ოფიციალური მომართვა, რაც ჩვენ მივიღეთ პრეზიდენტისგან, ყველაფერზე ხელი მოვაწერე, ყველა მისი თხოვნა დავაკმაყოფილეო. სასაცილოდ გაიხადა საქმე პრეზიდენტმა, განცხადება ბრიუსელიდან გაგვიკეთა და თან იძახის, ვიზიტებზე უარი მითხრესო, მანამდე იყო გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ბოდიში, ვერ იყო გვატემალაში, ვერ გადაცურა სუეცის არხი და ვერ ჩააღწია ანგოლის დედაქალაქ ლუანდამდე. ხუმრობა იქით იყოს, ჩემმა სიღრმისეულმა და მრავალწლიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ როდესაც ადამიანებს, თუნდაც პრეზიდენტებს მაქინაციობაზე უჭირავთ თვალი, ეგრევე გაქსუვდებიან ხოლმე, ანუ სახლში გული აღარ უდგებათ. როცა უმაღლესი თანამდებობის პირი გარე-გარე დატანტალებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის თავს რაღაცა არაორდინალური ხდება.

## რატომ აუშვა აფრები მადამ პრეზიდენტმა?

დამიჯერეთ, მადამ პრეზიდენტს აფრები რეალურად რომ არ აეშვა, ასეთ რამეს არ ვიტყოდი, ქალს ასეთ რამეს არ ვაკადრებდი. თუმცა, როდესაც ქვეყნის პირველი პირი საკუთარ ქვეყანას არაერთგზის ადანაშაულებს, ცოტა მეტის ღირსია.





სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, საქართველომ „ასოცირებულ ტრიოში“ მოწინავე ქვეყნიდან ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. თურმე მას ბრიუსელში საკმაოდ დამძიმებული სურათი დახვდა და ქვეყანას საქმე გაფუჭებული აქვს. გაიგონეთ? ქვეყანას აქვს საქმე გაფუჭებული, ანუ ხელისუფლებას, ევროპიელი ჩინოვნიკ-პოლიტიკოსები წმინდანები არიან. „ასოცირებულ ტრიოში“ სამი ქვეყანა იგულისხმება - უკრაინა, მოლდოვა და საქართველო. ჩვენ კი ვლიდერობდით, უპირველესად ჩვენ კი ვიმსახურებდით კანდიდატის სტატუსს, მაგრამ ამ ხელისუფლებამ საქმე ისე ჩააოხრა, ბოლო ადგილზე გადავინაცვლეთ. მადამ პრეზიდენტმა ალბათ იცის, რომ ცრუობს, მაგრამ მაინც ცრუობს, რადგან ასეთი დავალება აქვს, ქვეყანა უნდა გააშავოს, ყველაფერი ხელისუფლებას დააბრალოს.

აქ ცოტაოდენ უნდა გადავუხვიო... ჩემმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ ისიც მაჩვენა, რომ როდესაც ადამიანი, თუნდაც პრეზიდენტი, რელსებიდან გადადის, ის აუცილებლად იწყებს ბოდვას. სწორედ ასე დაემართა ჩვენს მიერ ჭაპანჭყვეტით დასმულ პირველ პირს - მე ვიყავი იტალიაში, სადაც 65 წლის წინ ხელი ხელი მოეწერა რომის ტრაქტატებსო, სადაც ამგვარად დაიბადა ევროპა და საიდანაც იშვა ევროპული ცივილიზაციაო. ესე იგი, მადამ პრეზიდენტი გვეუბნება, ევროპული ცივილიზაცია 65 წლის წინ იტალიაში იშვაო. დიახ, ეს მოხდა 9 საუკუნის შემდეგ, ჩვენ რომ უკვე პარლამენტი, ანუ სახალხო დარბაზი გვქონდა და „ვეფხისტყაოსანსაც“ დიდი მონდომებით ვიზუთხავდით.

შემდეგ ჩავედი ბრიუსელში, ევროპული საბჭოს ხელმძღვანელთან შარლ მიშელთან, სადაც დამხვდა საკმაოდ დამძიმებული სურათი, ამას უნდა დავარქვა გაფუჭებული საქმეო, - განაგრძო მადამ პრეზიდენტმა და თან დასძინა, რეზოლუციაში ბიძინა ივანიშვილის სანქცირებაზე ჩანაწერი არ უნდა ყოფილიყო, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ არ იყო გაწეული სათანადო მუშაობაო. აქ შეიძლება დავეთანხმოთ ქალბატონ სალომეს, ბიძინა ივანიშვილის სანქცირებაზე საუბარი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რამდენად გულწრფელია? მაგალითად, მე მის გულწრფელობაში ეჭვი შემეპარა, როცა 17 ივნისს თბილისში ქალთა უფლებებზე რაღაც ფორუმი ჩაატარა, პოლონეთის სეიმის „უმფროსის“ მოადგილე, ვინმე მალგოჟეტა გოშევსკა მოიწვია და ბიძინა ივანიშვილი ისე აგინებინა, ყურო, ნუ გაიგონებ!

წესით, მადამ პრეზიდენტს გათახსირებული მალგოჟეტა თმებით უნდა ეთრია და კიბეზეც დაეგორებინა, მაგრამ არა, მან მას ხშირი ტაში დაუკრა. მისდგა ბიძინა ივანიშვილს, სუ ოლიგარქი ეძახა, მერე სააკაშვილის მდგომარეობაზე ილაპარაკა, უარი მითხრეს მასთან სააკაშვილთან შეხვედრაზეო, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირობა პრემიერმა ღარიბაშვილმა მომცაო. ჰო, კიდევ ისაო, ევროპული დემოკრატიის პრინციპებში არ არის ის, რომ პატიმრობაში იყოს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტიო. გესმით, ვინმე მალგოჟეტა გვასწავლის, სააკაშვილი როგორ და რანაირად იყო არჩეული, ან კიდევ რა ჩაიდინა და რა დააშავა. მალგოჟეტა უფრო შორს გაფრინდა, მგონი მეორე მსოფლიიო ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა, როცა ევროპის ტერიტორიაზე ეგეთი რამე ხდებაო. იტყუება, ჯერ ერთი, მსოფლიოში ყოფილი პრეზიდენტების ციხეში „მიბრძანება“ ხშირად ხდება და მეორეც - თუ ამ შემთხვევაში ევროპაზეა ლაპარაკი, წესით ამას იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩის ამბავი გაგონილი უნდა ჰქონდეს (1997-2000), რომელიც საეჭვო ვითარებაში დააპატიმრეს და ასევე საეჭვო ვითარებაში განუტევა სული. 1999 წლის თებერვალში კოსოვოს კონფლიქტის დროს მილოშევიჩი გაერომ და ნატომ ჟენევის

კონვენციის დარღვევასა და გენოციდში დაადანაშაულა. იუგოსლავია დაბომბა ნატოს ავიაციამ. ასე დაამხეს მილოშევიჩის ხელისუფლება. დიახ, ნატომ დაბომბა იუგოსლავია, ეს მოხდა

9 გვ.

# საქართველოს აქ მეორე ფრონტი რომ გაეხსნა, დარწმუნებული ვარ, ევროპარლამენტი სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა

*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა:*

**— ბატონო იგორ, ევროკომისიის გადაწყვეტილებით უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებენ, ხოლო საქართველომ გარკვეული პირობები უნდა შეასრულოს. რას ფიქრობთ ყოველივეზე?**

— „საერთო გაზეთი“, სხვა პერიოდული პრესისგან განსხვავებით, ანალიტიკურია, ამიტომ თავს უფლებას მივცემ, შექმნილ ვითარებაზე, ღრმა ანალიზი შემოგთავაზოთ. სტატუსს რომ ვერ მივიღებდით, ეს, დიდი ალბათობით, გადაწყვეტილი იყო. სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკის, სახელმწიფოებრიობის ურემი 1991 წელს გადავაბრუნეთ, მერე, გზა კი გამოჩნდა, მაგრამ მასზე ვეღარ გავიარეთ. 30 წელია ამ შედეგებს ვიმკით — არაერთ სახელმწიფო გადატრიალებას, საზოგადოების გახლეჩვას და ა.შ. ქართველი საზოგადოების დღის წესრიგში არა და არ გამოიკვეთა შემდეგი საკითხი: უმთავრესი ის კი არ არის — შევალთ თუ არა ევროპაში, ან მოგვცემენ თუ არა სტატუსს, არამედ მთავარია, თავად ქართული სახელმწიფოს მდგრადობა, პოლიტიკური წონასწორობა. ამ მხრივ, ძალიან ვირყევით — ქარი როგორც კი დაუბერავს, ლერწამივით აქეთ-იქით გვაქანავებს. ჩვენ რომ ჭკუა გვეხმარა, საქართველო არც ევროპის, არც საფრანგეთის, არც გერმანიის მიერ გასაშალაშინებელი არ იქნებოდა. ერთი რამ გავიგოთ: საქართველო არ არის ევროპა! მაინცდამაინც უცხოელმა, ფრანგმა უნდა გვითხრას, რომ საქართველო ევროპა არ არის?! საქართველო არის საქართველო, რომელიც კავკასიაშია. ეს უკანასკნელი კი გახლავთ უდიდესი კულტურის, მწიგნობრობის, ცივილიზაციის, წიაღისეულის მხარე. კავკასიელ ხალხს არავის ჭკუის სწავლება არ სჭირდება. ჩვენ არაფერში გვჭირდება ვინმეს მივეტმასნოთ. ქართული პოლიტიკის სირცხვილია ჟვანიას ცნობილი ფრაზა: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელიო“. პირადად, მე, ყოველთვის, ქართველობას ვარჩევდი. დიახ, მე ვარ ქართველი და ევროპელობა, ჩემთვის, მაშინაც და ახლაც, მიუღებელია. ახლა, ეს ფრანგმა პრეზიდენტმაც გვითხრა, რომლისთვისაც არაფერი დაგვიშავებია. დავსვათ კითხვა: რა არის ჩვენს პოლიტიკაში ევროპისთვის მიუღებელი? მოდით, კარტები გავხსნათ: გულახდილად რომ გითხრათ, ევროპას საქართველოსთვის თავი არასდროს მოუკლავს. გავიხსენოთ, სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ლუდოვიკოსთან დიდი ხანი ალოდინეს, მერე, იქ რაც შეიტანა, ისიც ვერ გამოიტანა. კაცი იმ დონემდე მივიდა, რომ თავად, კათოლიკობა მიიღო და განაცხადა: საქართველოც კათოლიკობას მიიღებსო. ეს, პოლიტიკურად, აბსოლუტურად, გაუმართლებელი თეზა იყო. ამ შეთავაზებამაც ვერ იმოქმედა. მერე, რა ხდებოდა? — დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, პირველი ინტერნაციონალის ხელმძღვანელები აქ, მოდიოდნენ, ქეიფობდნენ, ჩვენი ბუნება, ქართული ხასიათი, ღვინო მოსწონდათ. ეს ჩვენი ისტორიაა, რაც კარგად უნდა ვიცოდეთ. დიახ, ასე იყო — ჩვენ, არც გულს გვიშლიდა ვინმე და არც რაიმე გვიკეთებდა. როცა ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხი გადაწყდა, დიდმა ქვეყნებმა — გერმანიამ, ესპანეთმა, იტალიამ, ინგლისმა ამაზე უარი განაცხადეს. შედეგად, ერთა ლიგის მიღმა დავრჩით. ერთა ლიგაში შესვლას, მაშინ ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე, გავიხსენოთ: როცა რუსეთისა და აშშ-ს ხელმძღვანელობის მიერ გამსახურდიას ჩამოგდება, ეროვნული სახელმწიფოს დაშლა დაიგეგმა, ევროპას ხმა არ ამოუღია. მეტიც, ამ პროცესს, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა.

**— ბატონო იგორ, ამ საკითხზე, პრეზიდენტის მოსაზრებებს როგორ შეაფასებთ?**

— ზურაბიშვილს კარგად ვიცნობ. იგი, ევროპული ტიპის მოღვაწეა. ფაქტობრივად, ქართული საზოგადოებისთვის უცნობ პიროვნებას გაპრეზიდენტებაში ევროპამ, აშშ-მ დაუჭირა მხარი. დიახ, ეს, ევროპის, დასავლეთის არჩევანი იყო. ახლაც, არჩევანის წინაშე დავდექით, რამაც ზურაბიშვილს შესაძლებლობა მისცა ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები არ გაეზიარებინა. იმიტომ, რომ ამ ყველაფერს მას, სწორედ, დასავლეთიდან კარნახობენ! როცა ზურაბიშვილმა ხელისუფლების მიმართ პირველი კრიტიკული განცხადება გააკეთა, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემდნენ. იმიტომ, რომ ეს მხოლოდ ზურაბიშვილის კი არა, არამედ ევროპიდან მოწოდებული აზრი იყო.

**— უკრაინას და მოლდოვას დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის და ა.შ. კუთხით, ბევრად წინ ვუსწრებთ, თუმცა მათ ეს სტატუსი ჩვენზე ადრე მიიღეს. რას ნიშნავს ყოველივე?**

— უკრაინა კორუმპირებული ქვეყანაა. იქ, ბევრი ახლობელი მყავს. ამ ქვეყანაში საშინელი ნეპოტიზმია. მეტი რაღა გინდათ — უკრაინის ხელისუფლებაში სლავები არ არიან. იქ, ოლიგარქიული მმართველობაა. დიახ, პოლიტიკაში არიან სხვები და არა სლავები. როცა ეროვნულ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირ გეტყვით: უკრაინაში არ არის ერთიანობა. დასავლეთმა ეს ქვეყანა ომში ჩააბა. უკრაინელებს ეგონათ: ეს ომი, ევროპისა და ამერიკის დახმარებით, სწრაფად დამთავრდებოდა. მაგრამ ომი არ მთავრდება, უკრაინა ინგრევა.





**— ჩვენი ომში ჩაბმა სტატუსის მონიჭების გარანტია იქნებოდა?**

— დიახ, ომში ჩაბმის შემთხვევაში სტატუსს მოგვანიჭებდნენ. ჩვენი ომში ჩათრევა სურდა უკრაინას, აშშ-ს. მიშაც ხომ სწორედ ამიტომ გამოაგზავნეს. ხედავთ რა ხდება? — საქმე შემდეგნაირადაა: ის კი არ განიხილება, გვეკუთნის თუ არა კანდიდატის სტატუსი, არამედ ეს პოლიტიკური საკითხია. დიახ, უკრაინას აღნიშნული სტატუსი არ ეკუთნოდა, მაგრამ მიიღო სწორედ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური საკითხი გახლდათ. ჩვენთვისაც, სტატუსის მონიჭება მხოლოდ პოლიტიკური საკითხი იყო და ამიტომ გადაწყდა ისე, როგორც უნდა გადაწყვეტილიყო. ვიმეორებ, ომში მონაწილეობა რომ მიგვეღო, საქმე სხვაგვარად იქნებოდა, მაგრამ ამას მეორე უკიდურესობა მოჰყვებოდა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი იქნებოდა. ჩვენ, ცუდსა და უარესს შორის გვქონდა არჩევანი. სამწუხაროდ, კარგსა და საუკეთესოს შორის არჩევანს, უკვე, 30 წელია ვერ ვაკეთებთ. ბოლო 30 წლის მანძილზეც, სხვა სახელმწიფოებს ვართ მიბმული. გამსახურდიას თეზას შეგახსენებთ: ჩვენ უნდა ვიყოთ ყველა სახელმწიფოსთან — რუსეთთან, აშშ-სთან, ევროპასთან, მაგრამ ცალსახად არ უნდა მივებათ, კონკრეტული ქვეყნის ბუნაგში არ უნდა შევიდეთ და სხვა სახელმწიფოების ბუნაგს უარი არ უნდა ვუთხრათო. აი, სწორედ ეს არის პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი აზროვნება. დავსვათ კითხვა: დღეს საქართველოში არიან მოაზროვნე პოლიტიკოსები? — ცალსახად ვამბობ — არა! პოლიტიკოსი არჩევნებზე აგებს თავის სტრატეგიას და ტაქტიკას, რათა ძალაუფლება ხელში აიღოს, სახელმწიფო მოღვაწე კი ცოტა სხვანაირად ფიქრობს — იგი, თავად ქვეყნის ინტერესებს არგებს არჩევნებს და არა პარტიის. ირაკლი ღარიბაშვილს აქვს იმის ნიშნები, რომ კარგი პოლიტიკოსი გახდეს. „ქართული ოცნების“ ლიდერების გამოსვლები არ ჰგავს სახელმწიფო მოღვაწისას. გული მწყდება, რომ ღარიბაშვილი მეფე ლირივით მიტოვებული რჩება. ისინიც ღარიბაშვილივით რომ იბრძოდნენ და უყვარდეთ ქვეყანა, საქმე სხვაგვარად იქნებოდა. დღეს, ევროპამ გვითხრა: საქართველოში პოლარიზაციაა, ხელისუფლება, ოპოზიცია ერთმანეთთან დაპირისპირებულია და შერიგებისკენ, ეროვნული თანხმობისკენ ნაბიჯი არ იდგმებაო. ქართველ ერს ერთმანეთთან შესარიგებელი არაფერი გვჭირს. ჩვენ შეთანხმებული ვართ ქვეყნის უკეთესი მომავლის მშენებლობაზე.

ევროპამ, ახლა, ახალი ტერმინი მოიგონა — ევროპული პერსპექტივა. მეცინებოდა, ამას რომ ვუსმენდი. თურმე, საქართველოს რაღაც ნაჭერი გადმოუგდეს და ეს ევროპული პერსპექტივა დაგვამადლეს კიდევაც. გვითხრეს: ევროპულ პერსპექტივას გიტოვებთ, ოღონდ, ჯერ უნდა გამოსწორდეთო. დიახ, გამოსასწორებელი ვადა მოგვცეს. აი, ციხეში პატიმრებს გამოსასწორებელ კოლონიაში რომ აგზავნიან, ის გამახსენდა. ქართულ სახელმწიფოს გამოსასწორებელი ვადა მისცეს. ჩვენ, უნდა გამოვსწორდეთ, მერე, განიხილავენ და თუ არ მოეწონებათ ჩვენი „გამოსწორება“, ისევ უარს გვეტყვიან. ასე მგონია, 30 წლის წინ მძიმე სენი რომ შეგვეყარა, არ ან არასწორად ვუმკურნალეთ და ეს, უკვე, ძალიან მძიმე სტადიაში — ქართული პოლიტიკის კიბოში გადაიზარდა, საიდან გამოსვლაც ასე ადვილი აღარ არის. ვფიქრობ: ჩვენთვის ეს არ არის კარგი. ვიმეორებ, ომში რომ ჩავრთულიყავით, ბუნებრივია, კანდიდატის სტატუსს მივიღებდით, მაგრამ რა შედეგი დადგებოდა?! დღევანდელი სიტუაცია სჯობს როგორც ვართ, თუ განადგურება, ნგრევა აჯობებდა, რაც უკრაინაში ხდება?! ომი, ყოველთვის, ვიღაცას აწყობს. ყველა ომი ინტერესებთანაა დაკავშირებული. მსოფლიოში არავითარი თანამეგობრობა არ არსებობს. ჩვენ რომ გვიყვარს თქმა:





თანამეგობრობამ ასე გამოგვიცხადა, მხარს გვიჭერსო და ა.შ, ყველაფერი ტყუილია. ეს იმ სადღეგრძელოს ჰგავს, როცა არ გეკუთნის, მაგრამ მაინც გეუბნებიან: კარგი ხარო. საერთაშორისო თანამეგობრობა გვეუბნება: შენ, კარგი უნდა გახდე და გამოსწორდეო. ასე, როდემდე უნდა გაგრძელდეს?

როდესაც საქართველომ თავის ჯარები აფხაზეთის წინააღმდეგ დაძრა, ეს უდიდესი პოლიტიკური დანაშაული და არა შეცდომა იყო. ასევე, აგვისტოს ომიც იყო დანაშაული და არა შეცდომა. პროვოცირება მოხდა თუ სხვა რამ, ეს მთავარი არ არის. სახელმწიფო მოაზროვნე იმიტომ გქვია, რომ ყოველივე შენი დიპლომატიით უნდა განჭვრიტო და დასკვნა გამოიტანო. შევარდნაძემ მიუხედავად იმისა, რომ დიდ პოლიტიკოსად ითვლებოდა, ეს ვერ გააკეთა — აფხაზეთში შევიდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ასევე, მოხდა აგვისტოს ომის შემთხვევაშიც — ვერ შევძელით ომის აცილება, რომელიც მაშინ ორი დიდი ქვეყნის ინტერესში შედიოდა. დიახ, ეს ომი ამერიკისა და რუსეთის ძალიან შეფარული ძალისხმევით დაიწყო. ამის შესახებ ზუსტად ვიცი. ეს მნიშვნელოვანია. აშშ-მ საქართველოს თათი დაადო. მას, აქ, უზარმაზარი საელჩო აქვს, რომლის მსგავსი სხვაგან არსადაა და დიდძალი თანხებია დახარჯული. ეს რას ნიშნავს? — მან, ამით, ფაქტობრივად, ევროპას აგრძნობინა: კავკასიაში მე უნდა ვიყო, ამიტომ, თქვენ, ფრთხილად იყავითო. ევროპა ამერიკასთან მიმართებით ასეც იქცევა — ერიდებს იმ ქვეყანას, სადაც ამერიკას ფეხი მოკიდებული აქვს. ეს დასამალი არ არის. იგივე, გერმანია, საფრანგეთი გვერიდებიან იმიტომ, რომ ამერიკა გვეხმარება ფინანსურად, აქ, ნატოს ჯარისკაცებიც ჩამოდიან. ეს არის რეალობა, რაც გვაქვს. ამიტომ ევროპა, ჩვენთან მიმართებით, დიდად მოწადინებული არ გახლავთ. მაკრონის ფრაზაც: საქართველო გეოგრაფიულად ევროპა არ არის, ეს, ამერიკის გამოძახილია. მაკრონმა ხაზგასმით თქვა: თავი დაგვანებეთ, საქართველო დაყოფილია — აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსებს აქვთ, რაც დარჩა — ამერიკასო. დიახ, ჩვენთან როგორც პოლიტიკური ისე სახელმწიფოებრივი პროცესები, ამერიკის იდეოლოგიით, თვალთახედვით მიმდინარეობს.

**— ბატონო იგორ, მავანი ამტკიცებს, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ნიშნავს მაღალ პენსიებს, ხელფასებს და ა.შ. რეალურად, რა იცვლება საქართველოსთვის სტატუსის მონიჭებით?**

— არაფერი იცვლება. ეს გახლავთ პროპაგანდისტული მანევრი, აბსოლუტური ტყუილი. რომელი პენსიების გაზრდაზეა საუბარი?! იცით, რას ამბობენ ევროპელები? — თუ ევროკავშირში შემოხვალთ, პენსიაც შესაბამისი უნდა გქონდეთ, რათა ჩვენი წევრობა დაიმსახუროთო. ანუ, იქ შესვლით კი არ გაიზრდება პენსიები, შენ გთხოვენ, რომ უკვე ევროპული პენსია გქონდეს და წევრობის ღირსი ასე გახდე! იმ პენსიით რაც ახლა ქვეყანაშია, ევროპაში შესვლა არ შეიძლება. ეს ერთ-ერთი ნიშნულია. ასევე, ევროპაში ვერ შევალთ, ამჟამად არსებული ეკონომიკური ცხოვრებით. ამაშია საქმე. გატყავებული, უშარვლო კაცი, ევროპაში არავის უნდა. ასე, რომ ჩვენთვის სტატუსის მონიჭებას ისედაც არ აპირებდნენ, აქ ოლიგარქიული მმართველობა, შარლ მიშელის დოკუმენტი, მედია-გარემოს გაუმჯობესება და სხვა, არაფერ შუაშია. ეს უბრალოდ, საბაბებია. მოდით, ამ საკითხს შემდეგი კუთხით შევხედოთ: ჩვენ ხომ გავხდით ევროკავშირის ასოცირებული წევრი. განა, რა საოცრება მოხდა ჩვენს თავს მას შემდეგ, რამე, შეიცვალა განსაკუთრებულად?! კი ბატონო, უვიზო რეჟიმი გვაქვს. ჰოლანდიაში რომ ჩახვალ, ქართველებს საათში 10 ევროდ ამუშავებენ, ადგილობრივები ამ დროში 30 ევროს და მეტს იღებენ. საქართველოდან მილიონნახევარი ადამიანია გასული. ევროპელებს აწყობთ იაფი მუშახელი, ადგილობრივი მაღალ ანაზღაურებას ითხოვს. ასე, რომ სტატუსის დაკარგვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ზღაპრულ ცხოვრებაზე საუბარი მხოლოდ პროპაგანდაა. ოპოზიცია დღეს ან ხვალ გამოვა და ყველაფერს ხელისუფლებას დააბრალებს, ხოლო რაც კარგია გაკეთებული, იმას დაიწუნებენ. სამწუხაროდ, ევროპა მათ უსმენს.

**— ალბათ, ამიტომაც ჩაწერეს ევროპარლამენტის რეზოლუციაში გვარამია პატიმრად და კეზერაშვილი დევნილად?**

— დიახ. ხელისუფლებისაც არ მესმის — არ შეიძლებოდა გვარამია ცოტა ადრე დაეჭირათ და ევროპისთვის სალაპარაკო არ მიეცათ. იცით, ვინ არის ის 308 კაცი, რომელთაც რეზოლუციას მხარი დაუჭირეს? — გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ბებერი ევროპის წარმომადგენლები. მათი გამოსვლები შეთანხმებული იყო. ამის შემხედვარემ, პირდაპირ ვთქვი: მორჩა, სტატუსზე ლაპარაკი ზედმეტია-მეთქი. კიდევ, ერთი ფაქტორია: ჩვენ, ევროპაში ლობისტები არ გვყავს. რა არის ლობისტი? — ეს გახლავთ დაკანონებული მექრთამეობა — მე შენ რაღაცას გაგიკეთებ და სანაცვლოდ, გარკვეული ოდენობის თანხას გიხდი. ნაცები ლობისტებს ქირაობენ. ხელისუფლება ამას არ აკეთებს. მან ვერ მოახერხა ის, რომ ევროპაში სერიოზული ლობისტი გვყავდეს. გახსოვთ, მაკ კეინს თავის ავტორიტეტული ჯგუფი ჰყავდა. იგი, მიშას ლობისტი იყო. ახლა კიდევ, ამერიკის ელჩი გამოდის და ათას რამეს გვეუბნება. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რომ მისი განცხადებები ამერიკის ადმინისტრაციასთან არის შეთანხმებული. სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო არ არსებობს, უკვე, 30 წელია ვერ შედგა.

**— თქვენ, ახსენეთ: უკრაინაში ოლიგარქიული მმართველობააო, თუმცა, ამაში ბრალი საქართველოს დასდეს და გამოსწორება მოგვთხოვეს. სინამდვილეში, აქ, რა მმართველობაა?**

— საქართველოში იცით რა უკიდურესობაა? — ქართულ პოლიტიკაში, კომუნისტების დროიდან დაწყებული, მემკვიდრეობის განცდა არ არსებობს — ყოველი მომდევნო ხელისუფალი ყველაფერს ნულიდან იწყებს. ასე მოიქცა შევარდნაძეც, სააკაშვილიც და სხვანი — მათ წინა მმართველობას ხაზი გადაუსვეს და საქართველოს მშენებლობა ნულიდან დაიწყეს. ეს არის ჩვენი უბედურება — ქართული სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობის უარყოფა. გარდა ამისა, პრობლემა ისიცაა, რომ მოაზროვნე ადამიანის მოსმენა „ქართულ ოცნებაში" არავის უნდა. „საერთო გაზეთის" რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა ტვინით გაპენტილი, ჭკვიანი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განცდით აღსავსე პიროვნებაა. მას ხომ საქართველო უზომოდ უყვარს. ხომ შეიძლება დაუძახო ამ ადამიანს, დაელაპარაკო, აზრი ჰკითხო. მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს, საქართველოს გარდა, თავისი მრჩევლები ჰყავს. აშშ-ში პრეზიდენტს თავისი მრჩევლები ჰყავს, ასევეა, რუსეთშიც. ვახტანგ ხარჩილავას მსგავსი ადამიანები უნდა შემოიკრიბო და თვეში ან კვარტალში ერთხელმაინც უნდა დაუძახო და მათი მოსაზრება მოისმინო. ჩვენ, ბრწყინვალე ეკონომისტები, ისტორიკოსები, ანალიტიკოსები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები გვყავს. მაგალითად, „საერთო გაზეთი" გამოირჩევა ღრმააზრობრივი ანალიტიკური მასალებით. ისეთი პრესა როგორიც „საერთო გაზეთია" და მისი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავაა, განა შეიძლება გვერდით არ დაიყენო?!

**— ევროპამ დემოკრატიაც დაგვიწუნა...**

— დემოკრატია, დემოკრატია რომ ვიყვიროთ, ამით არაფერი გამოვა, დემოკრატიასთან თავად უნდა მივიდეთ. ვგულისხმობ, ვარიანტულ დემოკრატიას, რაც ყველგან სხვადასხვაგვარია. ჩვენ, განვითარებული ქვეყნების დემოკრატიას ვერ შევედრებით, რისთვისაც მათ სისხლიც ღვარეს, კონფლიქტებიც ჰქონდათდა ა.შ. დემოკრატია, ამის გარეშე, არცერთ ქვეყანაში არ მოსულა. აშშ-მ 80 მილიონი ინდოელი გაჟლიტა და ბრძოლით მოვიდა. აბსოლუტური დემოკრატია არსად არის, არამედ არსებობს პრინციპები. ჩვენ უნდა გვქონდეს მოწესრიგებული დემოკრატია, სამართალი. თქვენს კითხვას დავუბრუნდები. დიახ, უკრაინაში ოლიგარქები არიან, რომელთაც ზელენსკისთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ზელენსკი მათ ეხმარებოდა და ისინიც ანალოგიურად პასუხობდნენ. ოლიგარქი ქვეყნისთვის ბევრ რამეს აკეთებს. ივანიშვილს რაც შეეხება, იგი უდიდესი ქველმოქმედია, ქვეყანას უამრავი სიკეთე გაუკეთა. მისი გავლენა ბევრად დიდია.

სამწუხაროდ, დღეს საქართველო არაფერს წარმოადგენს. კავკასიაში ყველაზე ძლიერი ქვეყანა, ახლა, ბაქოა გაზისა და ნავთობის უზარმაზარი რესურსით. აქვე, თურქეთის, ირანის, სომხეთის ავტორიტეტიც გაიზარდა. ისინი სატრანსპორტო სისტემას ერთად ქმნიან. საქართველოს, უკვე, სატრანსპორტო დერეფნის პრობლემაც აქვს. გავიძახით: სატრანსპორტო დერეფანი ვართო, მაგრამ მთლად ასეც აღარ არის. აგერ, ლარსის პუნქტიც იკეტება. აქვე, ბათუმი, ფოთი არ წარმოადგენენ ისეტთ პორტებს, სადაც დიდი გემები შევლენ. ამ საკითხს სახელმწიფომ უნდა მიხედოს. მე სულაც არ მინდა საქართველო დერეფანი იყოს. დერეფანში რა ხდება? — გაივლი-გამოივლი, ქაღალდს, ჭუჭყს გადააგდებ. დიახ, მე სულაც არ მინდა საქართველო დერეფანი იყოს, არამედ ხიდის ფუნქციას ვისურვებდი. მაგრამ ეს ხიდი მტკიცე, მყარი უნდა იყოს, რომ იქ ბევრმა გაიაროს. შერყეული ხიდი არ ივარგებს, არ უნდა ჩატყდეს, თორემ, დავიღუპებით. ჩვენ, უნდა დავაბალანსოთ ურთიერთობა რუსეთთანაც, ევროპასთანაც, ამერიკასთანაც და ა.შ. ნუ, მივეტმასნებით რომელიმე ერთს. ნუ, ვცდილობთ ერთი, დიდი მფარველის ყოლას, რომელსაც სტრატეგიულ მოკავშირეს დავუძახებთ. ამ ქვეყანას სხვადასხვა სახელმწიფოებმა მეორეხარისხოვანი, ძველი იარაღი მისცეს. უფრო სწორად, კი არ მისცეს, გადასაგდები იარაღი მიჰყიდეს. ეს არის სიმართლე. საუკეთესო იარაღს, უკრაინას, არ აძლევენ. იმიტომ, რომ ეს რომ ხელში რუსეთმა ჩაიგდოს, იქედან, შეიძლება, უკეთესი გააკეთოს. ასე, რომ იარაღის გაცემა ადვილი საქმე არ არის. უკრაინის მიკვირს, ზელენსკი გაიძახის: იარაღი მომეცითო. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც საკუთარი არ აქვს და სხვისი იარაღით უნდა რომ ომი მოიგოს. მსოფლიოში სხვისი იარაღით და სხვა ხალხით ქვეყნებს ომი არასდროს მოუგია. ზელენსკი გაიძახის: იარაღი მომეცითო და ამასობაში დაკარგა ის მოცემულობა, რაც ომამდე ჰქონდა. ომამდე პოზიციაზე ველარასდროს დაბრუნდება. უკრაინა აკონტროლებდა დონეცკის 30%-ს, ასევე, ლუგანსკსაც. ახლა, მთელი ქვეყანა დანგრეულია. ლენდ ლიზის პროგრამითაც ამერიკა იგებს. უკრაინამ 50 წელი მისი ვალი უნდა იხადოს. ჩვენ რაც შეგვეხება, ყველა უნდა გამოვიყენოთ, რათა ფეხზე დავდგეთ. ჩვენი ქვეყანა, ახლა, ჩაკუზულ, ეკონომიკური ჩოქბჯენის მდგომარეობაშია.

თამარ შველიძე
555 23 28 24





შალვა რაჭმაძის კარიკატურა

# ევროპაში შესვლაზე უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ევროკავშირში არ გვიღებენ და ამის გამო ვიღუპებითო, ეს ემოცია დამღუპველია






*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, როგორ აფასებთ, ევროკომისიის გადაწყვეტილებას?**

— რა გვინდა ევროპისგან? — როცა სულხან-საბამ ევროპისკენ მოძრაობა დაიწყო და ლუდოვიკოსთან შევიდა, გასაგები იყო, რაც უნდოდა — მუსულმანურ გარემოცვაში მყოფ საქართველოს ფიზიკური გადარჩენის ამოცანა ედგა და იგი, ეძებდა ჩვენსავით ქრისტიანულ ქვეყანას, რომელიც ამ პატარა საქართველოს არ გასწირავდა. ერთმორწმუნეობა, რაც მერე, რუსეთთან დაკავშირებით, უფრო მძაფრად გაისმა, ევროპის მიმართებითაც ფიგურირებდა. გადარჩენისთვის ინდოეთს ან ჩინეთს ხომ არ მივაკითხეთ, არამედ ევროპას იმიტომ, რომ იქ, ქრისტიანული რელიგია გვეგულებოდა. საბამ კათოლიკობაც კი მიიღო და თვლიდა, რომ საქართველოც ასე უნდა მოქცეულიყო. მოკლედ, ფიზიკური გადარჩენა იყო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რისთვისაც მაშინ ევროპისკენ მივილტვოდით. დღეს, რისთვის მივდივართ? ახლა, რატომ ვართ ასე მონდომებული — ფიზიკური განადგურების გვეშინია?! — ეს ხომ ასე არ არის! ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ალბათ, არის ის, რომ გვინდა ჩვენი ცხოვრების წესი ისეთივე იყოს, როგორც ევროპის. მატერიალური სიმდიდრე, რაც ევროპას აქვს, ეს გვინდა? — და თუ დღეს ამას ვერ მივიღებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყანა გვეღუპება?!

დავუკვირდეთ, როდის გამოიხედა ჩვენსკენ ევროპამ — სოხუმის დაცემის შემდეგ, როცა ნავთობსადენის პროექტი გაჩნდა. მანამდე, სოხუმი, რუსული ძალის მონაწილეობით, ისე დაეცა, რომ ევროპას არანაირი რეაქცია არ ჰქონია. შევარდნაძისთვის რომელმაც გერმანიის კედელი მოანგრია, ავღანეთიდან ჯარები გამოიყვანა, ევროპას დეპეშაც კი არ გამოუგზავნია. ხომ ფაქტია, რომ ევროპამ ეს-ენ-გე-ში დაგვტოვა. ფაქტობრივად, ხელი გვკრა, რომ იქ, შევსულიყავით. მან, არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ასეთი პრო-რუსული ნაბიჯისგან, ასევე, რუსეთის გავლენისგან დავეცავით. როგორც ჩანს, ევროპას მაშინ საქართველოში რუსეთის გავლენა აწყობდა. ვიმეორებ, ევროპამ საქართველოს ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ მიაქცია, რაც ბაქო-ჯეიჰანის პროექტი მომზადდა. ბუშმა ჩვენს დელეგაციას უთხრა: მე, ძალიან მიყვარს ნავთობის სუნი და მიხარია აქ რომ ხართო. სწორედ, მას მერე დაიწყო ევროპამ საქართველოსთან ლაციცი. რატომ ვიკლავთ დღეს ამ ევროპისთვის თავს?! რატომ მიგვაჩნია შეურაცხყოფად ის, რომ დღეს, ევროპამ უარი გვითხრა?!

ევროპა ჩვენთვის აუცილებელია და უნდა ვიბრძოლოთ, რომ იქ, ჩვენი ადგილი მოვიპოვოთ. მაგრამ ისტერიკა დაგვემართოს, რატომ გვითხრა ევროპამ უარიო, ეს გაუგებარია. ამის გამო მთელი ქვეყანა ისტერიკაში ჩაერთო. „ფეის-ბუქში“ ბევრგან ვაწყდები — ვიღუპებითო. რა შუაშია დაღუპვა, ესეც გაუგებარია. ევროპაში შესვლაზე უნდა იმუშაო, მაგრამ ეს ემოცია — ვიღუპებითო არის სწორედ დამღუპველი. დიახ, სტატუსი არ მოგვცეს და სწორედ ამით კიდევ უფრო პოლარიზებული გახადეს საქართველო, ვიდრე აქამდე იყო. ამ დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო, დიდი შანსია რუსეთი გათამამდეს. ევროპას ასეთი შეცდომები არაერთხელ მოსვლია არამხოლოდ საქართველოსთან, არამედ ბევრ სხვა საკითხთან მიმართებითაც. დიახ, ევროპას ბევრჯერ გადაუდგამს ნაბიჯი, რაც მისთვისაც დამღუპველია. რაც შეეხება ჩვენთან დაკავშირებულ მიზეზებს, თუ რატომ არ მოგვცეს სტატუსი, ეს კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოში ოლიგარქიული მმართველობააო, მაგრამ იგივეს უკრაინასაც ხომ უწუნებდნენ, მაშინ რატომ მიანიჭეს სტატუსი — ომის გამო?! ევროპას უზენაესი მსაჯულის როლი არ ეკუთვნის. მოდით, ევროპას პრაქტიკულად მოვექცეთ და ნურაფრის გადამეტებულ რომანტიზაციას ნუ მოვახდენთ. მოდით, გავხდეთ უფრო საჭირო. აუცილებელი არაა ომი იყოს. ჩვენი ეკონომიკური, გეო-პოლიტიკური ფუნქციით ეს სიტუაცია შეიცვლება. გავიძახით ევროპა უნდა გავხდეთო და ამ დროს, პარალელურად ვამბობთ: ხიდი ვართ ევროპასა და აზიას შორისო. ჩვენ თუ ევროპა გავხდით, მერე ხიდი ვინ იქნება?! ე.ი. ჩვენსა და აზიას შორის კიდევ ცალკე ხიდია მოსაფიქრებელი, ხომ. საქართველომ მოახერხა ქრისტიანობისა და ინტელექტის შემწეობით, ისეთი კულტურა ჩამოეყალიბებინა, რომელიც ევროპულის ტოლფასია. მოდით, ეს კულტურა განვავითაროთ და ისე შევხვდეთ ევროპას თანასწორი დიალოგით და არა მოსწავლის პოზაში.

**— ევროკომისიის გადაწყვეტილებამდე იყო ევროპარლამენტის რეზოლუცია, სადაც კეზერაშვილი დევნილად, სააკაშვილი და გვარამია პოლიტ. პატიმრებად მონათლეს. ეს რას ნიშნავს?**

— ევროპელები არ დაფიქრდნენ: ჩვენი გადაწყვეტილება, ქართველებზე, როგორ იმოქმედებსო. რაც რეზოლუციაში ჩაგვიწერეს, იმას ნაცების ხელი ეტყობა. ეს მათი შედგენილი ნუსხა და პოზიციაა. ნაცები ქართველმა ხალხმა ხელისუფლებიდან გაუშვა. თუ ევროპა „ნაციონალებს“ იცავს, ე.ი. იგი საქართველოს, ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას პატივს არ სცემს. ევროპას თავის სურვილები აქვს, შეიძლება უნდა, რომ ხელისუფლებაში ისევ ნაცები მოიყვანოს.

**— რეალურად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ ევროპას სულ არ ვანაღვლებთ...**

— რატომ უნდა ვანაღვლებდეთ ევროპას? ჩვენ, დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს ყარაბაღის ომს, მაგრამ რომელიმე მხარე გვანაღვლებდა მიუხედავად იმისა, რომ სამეზობლოშია? გვანაღვლებს ირანში, თურქეთში მიმდინარე პროცესები — რა ხდება ისლამურ ირანსა და ისლამურობისკენ პირშექცეულ თურქეთში? თუ გვანაღვლებს მხოლოდ ჩვენი გადმოსახედიდან. ევროპელებს რატომ უნდა მოვთხოვოთ ეს ნაღველი? მაკრონის სიტყვებიდან გამოვიდეთ. ჩვენ, მარტო ფიზიკურად კი არ ვართ შორს ევროპისგან, არამედ ემოციურადაც. ევროპული ოჯახი თუ გვინდა, წინ უნდა წავიწიოთ. ვიმეორებ: ევროპას ჩვენი საჭიროება უნდა დავანახოთ. არის კიდევ ერთი გზა, რაც პომპეომ გვიკარნახა, როცა აქ, ჩამოვიდა. ჩვენ, ამერიკისთვის ძალიან საჭირო ვართ. ამერიკა უფრო მასშტაბურ პოლიტიკურ ამოცანაშია, ვიდრე ევროპა. ამერიკას თავის ინტერესები აქვს და მან, საქართველო სტრატეგიულ პარტნიორად გაიხადა. ავღანეთიდან თვითმფრინავებს საქართველოში აჯენდა, არ ენდობოდა სხვა ადგილებს, სადაც საწვავის აღება შეიძლებოდა. ჯერჯერობით, ეს ინტერესი ამერიკის პოლიტიკური ჯგუფების ცვლილებებს გადაჰყვა. თუ ამერიკის ინტერესი, საქართველოს მიმართ, საგრძნობი იქნა, მერე ევროპაც დაინტერესებული გახდება. ამერიკის დამოკიდებულებას ვინმეს მიმართ, ევროპისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— ბატონო რამაზ, ორი დღის წინ აქცია გაიმართა — წინ, შინ ევროპისკენ. რა დავანახეთ ამით ევროპას?**

— ორგანიზატორებმა, ამ ეტაპზე, აქციის დეპოლიტიზირება მოახერხეს, თუმცა ეს ზედაპირული იყო. იმიტომ, რომ მაგალითად, შეკრებაზე მოსული სტუდენტები, ხაზგასმით, იმ უმაღლესებიდან იყვნენ, სადაც მეტად პოპულარული „ნაცმოძრაობაა“. ტრიბუნასთან იდგნენ საზოგადოების წარმომადგენლები, ვინც ნაცების მხარდამჭერები არიან. ასევე, ჩართეს ევროპელები, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან. მათ, კიდეც თქვეს: მაგარი ხალხი ხართ, მაგრამ მთავრობა არ გივარგათო. სატელევიზიო ინტერვიუებში, პირდაპირ, ჟღერდებოდა: ხელისუფლება უნდა შევცვალოთო. მარგველაშვილმა ვადამდელი არჩევნები მოითხოვა. რევოლუციური ელემენტი აღარ იყო, მაგრამ ხელისუფლების შეცვლა სულ ფიგურირებდა. ამ მხრივ, ეტყობოდა, ვისი ორგანიზებული იყო აქცია.

**— აქციაზე ითქვა: ევროპას დავანახოთ, რომ ბევრნი ვართ და შესაძლოა 24-ში გადაწყვეტილება შეცვალონო. ამის მოლოდინი გაჩნდა?**

— ჩვენ ხომ ზუსტად არც ის ვიცით, სტატუსი რატომ არ მოგვანიჭეს. დასახელებული მიზეზები დამაჯერებელი არ არის. დანარჩენ ორ ქვეყანასაც იგივე პირობები წაუყენეს, მაგრამ მათ კანდიდატობა მისცეს. ეს გაუგებარი დამოკიდებულებაა. აქცია ერთი რამით იყო საინტერესო: ამავე დღეს უკრაინის ტელევიზიებით გავრცელდა კიშინიოვში მოწყობილი მიტინგის ფოტოები, სადაც ითხოვდნენ: არ გვინდა ევროპა, არამედ რუსეთთან გვინდაო. ამ ფონზე, საქართველოში ითხოვდნენ: ევროპა გვინდაო. შეიძლება ყოველივე ევროპელების აზროვნებაში ანგარიშგასაწევი ფაქტორი აღმოჩნდეს და 24 ივნისის სამიტზე სხვა გადაწყვეტილება მიიღონ.

**— აქციაზე, საპროტესტო გამოსვლები და 6 თვეში ოლიგარქის გადაგდება დაანონსდა. ეს რამდენად ლოგიკურია?**

— ოლიგარქის გადაგდება გაუგებარი ტერმინია. საიდან უნდა გადააგდონ?! ოლიგარქებთან დაკავშირებით ევროპელებმა უკრაინას კანონი მიაღებინეს: ოლიგარქად ითვლება, ვინც 800 მილიონზე მეტს ფლობს. ასევე, მას უნდა ჩამოერთვას მედია-საშუალებები, გაეყინოს ანგარიშები და ა.შ. ეს არის ბრძოლა ოლიგარქთან. მაგრამ როცა საქართველოში გვყავს მდიდარი, ქველმოქმედი ადამიანი, რომელიც სახელმწიფოში სამ მილიარდს დებს, ქვეყანას უამრავი სიკეთეებით ეხმარება, ანგარიშებიც კი არ აქვს, არც მედიას ფლობს და ამას უნდა ვებრძოლოთ?! ამ ტიპის შეცდომებს, დასავლეთი ხშირად უშვებს. მგონი, ახლა, ნანობენ კიდეც, რომ ამ სამ ქვეყანას შორის დიფერენციაცია გააკეთეს. მათ, იციან, რომ უსამართლობის განცდა გვაქვს. მაშინ რატომ მიგვიყვანეს აქამდე?! ბევრმა ევროპელმა თქვა: საქართველოსთვის ზურგის შექცევა სტრატეგიული შეცდომააო. ვნახოთ, ეს ყველაფერი რა შედეგს გამოიღებს. შესაძლოა, შედეგი ჩვენს სასიკეთოდ შეიცვალოს. თუ ასე არ მოხდა, მერე აქ, დაიწყება ხელისუფლების შეცვლაზე ძიძგილაობა. ვიმეორებ, ევროპისგან პოლარიზაციის შემცირების რეკომენდაციამ პოლარიზაცია, პირიქით, გაზარდა. დეოლიგარქიზაცია უნდა მოხდესო რომ ჩაგვიწერეს, ეს ხომ ასევე, პოლარიზაციის ერთ-ერთი სტიმული იქნება?! ასე, რომ ნუ, ვეძებთ მიზეზს მხოლოდ ჩვენში. დაველოდოთ, 24 ივნისის სამიტს და მოვლენების განვითარებას.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# პრეზიდენტ სალომეს ვნებანი

5 გვ.

შუაგულ ევროპაში, თანაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს კი, ეს ჩამოსული ვინმე მალგოჟეტა გვაბოლებს, ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრება როგორ შეიძლებაო? როგორც ჩანს, შემოაკლდა საჭმო პოლონელ დეიდას და ამიტომაცაა გამწარებული. მეტსაც გეტყვით... უფრო სწორად, მეტ სიგიჟეს გეტყვით, ეს ქალი ისეთი პრეტენზიებით ჩამოვიდა, ყველაზე თავხედ სტუმარსაც რომ არ ეკადრება, თურმე სააკაშვილის მიმართ ყველა ნორმა ირღვევა და დაცვა თუ შეღავათებიც არაკანონიერად ჩამოურთმევიათ. დიახ, შეღავათები ეკუთვნის სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი. ისეთი შეგრძნება მაქვს, მადამ პრეზიდენტი თავის „დაქალებს“ პერიოდულად ჩამორეკავს და ბიძინა ივანიშვილს ალანძღვინებს. აბა, სხვა რა ვიფიქრო, როცა ფაქტი ეს არის?!

### კიდევ რა აწუხებს მადამ პრეზიდენტს?

მადამ პრეზიდენტს ბოლო დღეებში ბევრი რამ აწუხებს. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მას მხოლოდ შვილების დასაქმება-დაწინაურებაში სთხოვენ საზღაურის გადახდას, ალბათ კიდევ არის რაღაც, რაც შეიძლება ვერასდროს გავიგოთ - მაგალითად, კიდევ რა პირობა აქვს დადებული თავისი დასავლეთელი ბოსების წინაშე და რის საფასურად აქვს დადებული? ადამიანი, თუნდაც პრეზიდენტი, რომელიც ყველაფერში საკუთარ ქვეყანას ადანაშაულებს, ის უკვე დამნაშავეა.

როგორც სალომე ზურაბიშვილი ამტკიცებს, ოპოზიცია თავისი მიზნების მისაღწევად მუშაობდა, მთავრობას კი ის სამუშაო, რომელიც მას ევალებოდა, არ ჩაუტარებია და ამის ნაცვლად ხან დუმილი, ხან სერიოზულ კითხვებზე შეურაცხმყოფელი პასუხები არჩია, რის გამოც შესაბამისი შედეგიც მიიღო. ხედავთ, რამდენ შეცდომას უშვებს? ოპოზიციამ იმუშავაო, ხელისუფლებამ არაო, პირიქით, შეურაცხყოფას აყენებდა ოპოზიციასო. დაუკვირდით, ეს ქალი უკვე ე.წ. ოპოზიციის გულშემატკივარია. რაც მოხდა, ეს ყველაფერი ხელისუფლების დუმილის და უმოქმედობის შედეგიაო. თვითონ არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას, ყველა მკვდარ კატას მთავრობას ჰკიდებს, ცოტა დააკლდა, ირაკლი ღარიბაშვილი არ გამოლანძღა. თუმცა, ის კი თქვა, ბოლო თვეების განმავლობაში მთავრობას არც ერთი ევროპული ტურნე არ განუხორციელებიაო, დასავლეთში არავინ ჩასულაო. ვერ გავიგე, აბა, ირაკლი ღარიბაშვილი სად დადიოდა დღეგამოშვებით?

მადამ პრეზიდენტმა ნიკოლოზ გვარამიაც ახსენა (აბა, ისე როგორ იქნებოდა?), მისი დაკავება უდროო იყოო. ნეტავ მისი დაკავების დრო როდის იყო, მაშინ ხომ არა, როცა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატს სამშობლოს მოღალატეს ეძახდა და იმასაც ახსენებდა, ლოგინში თავის ნათელ-მირონს ჩაუგორდაო? ჰა, იქნებ მაშინ უნდა დაეპატიმრებინათ ბატონი „ჩაჯვი“, წითელ წიწაკას რომ ჭამდა და აქეთ გვემუქრებოდა, დედებს გიტირებთო?!

როგორც ჩანს, მადამ პრეზიდენტს ის რეზოლუცია არ წაუკითხავს, აპრილის ბოლოს რომ გამოქვეყნდა და შიგ ისეთი კარგი რამეები ეწერა, ცოტა არ იყოს, თავები უხერხულადაც კი ვიგრძენით, გავწითლდით. ყველაფერი კარგად იყო, ყველაფერი კარგად შევასრულეთ, მედიაგარემო კარგი, დემოკრატია - შესანიშნავი, პოლარიზაცია - მილევადი, პლურალიზმი - შესანიშნავი, ადამიანის უფლებები - ნუ იტყვით, ქალთა უფლებები - ბაზარი არ არი, სოციალური ამბები - წინსვლა. რომელი ერთი ჩამოვთვალო? რომელ ერთს გავუსვა ხაზი? თუკი ერთი თვით ადრე საქართველოში მდგომარეობა ყვაოდა, თუკი ერთი თვით ადრე ღირსნი ვიყავით ევროკავშირში მიღებისა, შემდეგ რა მოხდა, მთელი ევროპარლამენტი რამ გადარია? არა, აქ ვტყუვიარ, მთელი არა, ჩვენ დაგვცინა




308 დეპუტატმა, იქ არის 732 დეპუტატი. კარგი, ბატონო, ხელისუფლება გააკრიტიკე, მთავრობა დაადანაშაულე, ეს გასაგებია, მაგრამ საკუთარ სახელმწიფოსა და ხალხს ბრალდებები წაუყენო, ყოვლად გაუგებარი უბედურებაა - თურმე არ გვივარგა სასამართლო, თურმე მიყურადების კანონში ცვლილებები არ უნდა შეგვეტანა, თურმე ცვლილებებს ვიღებთ ისე, რომ ყურადღებას არ ვაქცევთ ევროკავშირის რეაქციებს, არ ვაჩვენებთ ჩვენს პოლიტიკურ ნებას. მეტიც, ჩავიდინეთ მიუტევებელი დანაშაული, გავანაწყენეთ ევროპარლამენტარები და ევროპარლამენტში ყველაზე ძლიერი პარტია, ასევე ევროპარლამენტის თავმჯდომარის პარტია, ანუ ევროპის ყველა ინსტიტუტი. ევროპარლამენტარებს დავემუქრეთ, თუ არ მოგვცემდნენ სტატუსს, ფარდას ავხდიდით მოვლენებს. თურმე გამოვიჩინეთ საქართველოსთვის სრულიად შეუფერებელი დამოკიდებულება მეგობარი ქვეყნის, უკრაინის და მისი ხელისუფლების მიმართ. თურმე ქართული ტრადიციების თანახმად, როცა ქვეყანა ომშია, მისგან ყველაფერი უნდა მოვითმინოთ და არ შევიდეთ რაღაც უაზრო პოლემიკაში. როგორც ჩანს, ეს ტრადიციაც დაგვავიწყდა. რა ვქნა, სასაცილო კი არ არის, მაგრამ აქ მეცინება, ნეტავ რომელ ტრადიციაში წერია, როცა ესა თუ ის ქვეყანა ომშია და უკადრებელს კადრულობს, მისგან ყველაფერი უნდა მოვითმინოთ, მას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ? ალბათ ეს ზეპირსიტყვიერი ტრადიციაა, როცა ათასნაირ შეურაცხყოფას გვაყენებენ, ომში ჩათრევას გვიპირებენ, გვამებით შეხიდებას გვთავაზობენ, ხმა არ უნდა ამოვიღოთ. სხვათა შორის, მადამ პრეზიდენტმა საკუთარი ქვეყანა სანქციების მხრივაც გააკრიტიკა - ჩვენ არ შევუერთდით და ვინც შეუერთდა, ისინი მასხრად ავიგდეთ, ლანძღვა დავუწყეთ. არა, ამის მოფიქრება ხომ გინდა? თურმე მოლდოვამ შეძლო ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით. მადამ პრეზიდენტმა არც ის იცის (შეიძლება იცის კიდევაც), რომ მოლდოვამ ვერაფერიც ვერ შეძლო, ეს ქვეყანა ჩარჩენილია დსთ-ში და სადაც არ უნდა მიიღონ, მაინც ჩარჩება დსთ-ში, ვისაც ამ ქვეყანაში ბოლო დროს გაუვლია, ყველა ამბობს, რომ იქ ჯერ ისევ საბჭოთა წყობილებაა.

იცით, რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს ხელისუფლებას? როგორც ზურაბიშვილი ამბობს, უნდა გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა მოლდოვამ - უბრალოდ გაჩუმებულიყო. დიახ, როცა თავზე გაფსამენ, უნდა გავჩუმდეთ. თურმე ჩვენ ომში ჩაბმას არავინ გვთხოვდა, ეგ ტყუილი ყოფილა, მთავრობას მოუგონია, უკრაინელი მაღალჩინოსნები რომ გამოდიოდნენ და გვამებით დახმარებას ითხოვდნენ (ჯერ კიდევ არ ჩერდებიან), ეს ჩვენ მოგვიგონია. ეეეჰ... მადამ პრეზიდენტო, ეს უკვე დაუკრეფავში გადასვლაა, გადაჭყლეტილ ღობეზე გადაპარვაა, ეგრე არ შეიძლება!

### სად არის სიმართლე?

სიმართლე აქ არის, ჩვენთან. წინასწარი ინფორმაციის თანახმად და ევროკომისიის დასკვნის მიხედვით, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭეს, უკრაინას და მოლდოვას მიანიჭეს. საქართველოს მისცეს „ევროპული პერსპექტივის“ სტატუსი, ამის შემდეგ, თუ კარგად მოვიქცევით, აუზში წყალსაც ჩაგვისხამენ და კანდიდატობასაც მოგვანიჭებენ. შემდეგ კი... თუ მშვიდობა იქნა, თუ ევროკავშირი არ დაიშალა - 10, 20, 30, 50 წელიწადში მიგვიღებენ. შეიძლება საერთოდაც არ მიგვიღონ, ხვალ რა იქნება, არავინ იცის, შეიძლება უხილავმა ძალებმა ისეთი „პანდემია“ შემოგვიგდონ, საერთოდ გავიჟუჟოთ. ღმერთმა ნუ ქნას, ვიმედოვნებ, უფალი დაგვიფარავს.

რაც შეეხება კანდიდატობის არმონიჭებას, მთავარი მიზეზი რუსეთთან ომში არჩაბმაა, მეორე ფრონტის არგახსნაა. აგერ, საკუთარი თვალით წაიკითხეთ: „უკრაინელები ევროპის გულისთვის კვდებიან..." - ურსულა ფონ დე ლაერი, ევროკომისიის თავმჯდომარე.

გასაგებად გვითხრა ქალბატონმს ურსულამ, ხო? ეგრეა, ჩემო ძვირფასებო. სხვათა შორის, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმაც გასაგებად გვითხრა, ოღონდ სხვა მიზეზი - თქვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა ისეთია, ევროკავშირში ძალიან ძნელად მისაღებები ბრძანდებითო. რუკა უნახავს ამ კაცს, დამჯდარა, ჩაფიქრებულა და ვერაო, ეგ კავკასიააო. მე სულაც არ ვთვლი, რომ რთული და რაღაცნაირი გეოპოლიტიკური მდებარეობა გვაქვს, რაც გაგვაჩნია, ეს ჩვენი ღირსება და სიამაყეა. ამიტომაც, იქნებ, კავკასიისთვის მიგვეხედა? ამ დღეებში იოსებ გრიშაშვილის ლექსი მაქვს ამოჩემებული, საქართველოზე რომ თქვა, ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი კიდევ შიგ ჩასმული ბადახშიო... მე ასე გადმოვაკეთე: „კავკასია ბეჭედია ბაჯაღლო, საქართველო - შიგ ჩასმული ბადახში“.

ჩვენ უნდა ვიშრომოთ, გავისარჯოთ, ეკონომიკა გავაჯანსაღოთ, ავაშენოთ, ვთესოთ, ვხნათ, ვმკათ და სულ მალე დადგება დრო, იქით შეგვეხვეწებიან!





გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# პაციფისტური გადაძახილი უდაბნოში



**განმარტებისთვის:**

არსებობს ზემგრძნობიარე თემები, პროზის ჩარჩოებში რომ ვერ თავსდება. ალბათ, ასე შეიქმნა ქართული ზეპირსიტყვიერების მეტად თავისებური ჟანრი – „ხმით ნატირლები“. წარმოდგენილი პუბლიცისტური ლექსიც („პაციფისტური გადაძახილი უდაბნოში“) ერთგვარი გლოვა, სვანური ზარია – „ვოი-ვო!“ – სტროფებში მოქცეული.

ეძღვნება „ნატოს“ სამშვიდობო ოპერაციისას ავღანეთში დაღუპული ლენჯერელი ვაჟკაცის – მუხრან შუკვანის ხსოვნას.

– მე ალბათ მოვკვდები, –იმ ავბედითი აღსასარულის წინაღამეს უთქვამს მუხრანს ბიჭებისთვის. იხსენებდნენ: გათენებამდე ქართულ საგალობლებს უსმენდაო...

ლექსი 2013 წელსაა დაწერილი. მაშინ ორ თვეში ავღანეთიდან 13 ქართველი მეომარი ჩამოვასვენეთ. რუსი ოკუპანტების პირისპირ ორგზის მარტოშთენილმა, ტერიტორიებდაკარგულმა საქართველომ, საერთაშორისო მშვიდობისთვისაც უმძიმესი მსხვერპლი გაიღო: ალიანსის სამხედრო ოპერაციებში ჩართული ქართველი მეომრები მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში თავდაუზოგავად იბრძოდნენ. შესაბამისად იზრდებოდა დაღუპულთა რაოდენობაც და საბოლოოდ ხუთ ათეულსაც გადააჭარბა, ბევრია დასახიჩრებულიც...

– ისინი გმირები არიან! – ეს პათეტიკური შეძახილი მუდმივად გვესმის. ვაი, რომ სხვათა ომებმა მხოლოდ მსხვერპლი იცის! გმირები სამშობლოს დაცვისას იბადებიან. იმ კუბოებმაც უხმოდ, ცივი ოფიციოზით ჩაგვიარა გვერდით...

ამბობენ, ანგელა მერკელმა შავები ჩაიცვა და ავღანეთში დაღუპული გერმანელი ჯარისკაცი დედასავით დაიტირაო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მეექვსე ქართველი მეომრის დაღუპვა მის ოჯახს სვანეთიდან, თხილამურებზე შემდგარმა მიუსამძიმრა და ჰაწვალის ტრასაზე ისევ სრიალი გააგრძელა.

ამ ხნის მანძილზე, განუწყვეტლივ დამყვებოდა შიში: ვაითუ, ეს ოცი წელი და მეტიც, ამაოდ ვდგავართ „ნატოს“ დაგმანულ კართან; ის აღთქმული კარიც მხოლოდ მირაჟია და ჩვენი შვილების კუბოებით უაზრო სიჯიუტით ვურახუნებთ– „გაგვიღეთო!!“

და აი, გამოგვიცხადეს: – სამშვიდობო მისიებში ქართველთა დაღვრილი სისხლი „ნატოში“ შესასვლელად საშვი არ გახლავთო...

მაინც ვაკაკუნოთ! – მოგვიწოდა პარლამენტის მაშინდელმა თავკაცმა უსუფაშვილმა, ვისაც ნათქვამი აქვს: – ჩემ შვილებს არ ვეუბნები, სამშობლოს უნდა შეეწიროთ; მათი სამშობლო იქ იქნება, სადაც თავს კარგად იგრძნობენო...

... დღეს უკვე უკრაინის მკვნესარე მიწაზე დაწყვილებულან არესი და თანატოსი – ომისა და სიკვდილის ღმერთები, სადაც ბომბები და დოლარები ერთდროულად ცვივა. დედამიწა მესამე მსოფლიო ომის აშკარა განსაცდელის წინაშე დგას და გამკითხავი ჯერხნობით არავინაა. როგორც ირკვევა, შინაურ და გარეშე ბნელ ძალებს ომში ჩასაბმელად, საქართველოც მიზანში ჰყავდათ ამოღებული და მოსალოდნელი საფრთხის ასარიდებლად, ქვეყნის ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს გავლა. „გაეროს“ მიერ მომაკვდავი ერების სიაში შეყვანილ, უთანასწორო ომებით დაზარალებულ ქართველ ერს, სამწუხაროდ, გამოსაშვები სისხლი უკვე აღარ შერჩა. იმ დაღუპული საჯიშე ბიჭებიდანაც, ზოგს გვარის გამგრძელებელიც არ ჰყავს. კულტურის მინისტრმა – თეა წულუკიანმაც ჩვეული პირდაპირობით ალბათ ამიტომ თქვა: – ჩვენი მებრძოლების დედებს ამერიკის ელჩის წონა ცრემლები აქვთ დაღვრილიო...

ქართველი ბუნებით პაციფისტია და უგრძესი ისტორიის მანძილზე, დღემდე ბრძოლა მხოლოდ თავდაცვის მიზნით უწარმოებია. მსოფლიოს ცხელი წერტილები: კოსოვო, ერაყი, ავღანეთი, მალი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და მისთანები, სადაც ჩვენი მეომრები იბრძოდნენ, ჩემ წარმოსახვაში, ის შორეული და უცხო,



მითიური „ჯანდაბაა,“ სადაც ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგომ ქართველ ერს, მიმაჩნია, რომ არაფერი ესაქმება.

აქვე ტკივილით მახსენდება რუსი „ლიოტჩიკების“ მიერ სირიის დაბომბვისას დაღუპული პატარა ბიჭუნას ბოლო სიტყვებიც: – მე თქვენ ყველას უფალთან გიჩივლებთ!.. მე მას ყველაფერს მოვუყვები...

„პაციფისტური გადაძახილი უდაბნოში“ ამ ყოველივესადმი ჩემი მძაფრი პროტესტია.

მოაჩხრიალებს პრეზიდენტი
ჯიბით ორდენებს
და კუბოებზე ცალობით აწყობს;
აგვიანდება, ზეიმზე გარბის...
ამ კუბოებით გაიმაგრა
საჯდომი ტახტი,
სხვას არას დარდობს...

ამ შვიდ კუბოში, საზარელში,
ჩვენი შვილების
სხეულების ნაფლეთებია...
– რატომ და რისთვის?
მოპასუხე არავინ არის,
ან რას გვეტყვიან!..
ნუ ველოდებით ვინმეს სიბრალულს,
სინდისის ქენჯნას,
სინანულს, სირცხვილს...
(ამ ყველამ ერთად
ჩაილურის წყალი დალია),
კაცობრიობის მბრძანებელი ზედა ელიტა
მათთვის პამპულა,
ჩვენთვის „დრაკულა“ პრეზიდენტზე
გულცივად იტყვის:
–გარეწარია, მაგრამ
ჩვენი გარეწარია...“

ვისა სცალია ქართველისთვის,
ან ვის ანაღვლებს,
უნიკალური სისხლი ჩვენი რას ეწირება?
ეს მაშინ, როცა რიცხოვნებას
თითებზე ვითვლით,
ამ დუნიაზე მალე ქართველის–
„ობოლი ერის!“
ჭაჭანებაც აღარ იქნება...

გალენჩებული მოველოდებით,
ღვთის ანგელოზი
როდის უტაცებს დანაზე ხელს
ისაკის მამას:
„აჰა, ბატკანი სანაცვლოდო“
ის კი არ ვიცით,
რომ ის სამსხვერპლო ბატკანია
ქართველი თავად!..

ნუთუ, სამყაროს ქართველები
მოვწყინდით უკვე?
გადაგვაჩვიეს ლაღობას, სიცილს,
გამოგვიტანეს სასიკვდილო უკვე ვერდიქტი:
– უნდა დამთავრდეს,
საქართველო უნდა დამთავრდეს,
„ანი“ და „ჰოე“ ამ ცოდვილი,
ბებერი მიწის!..
„ავღანელებო,“ „ერაყელებო,“
ამ ჩვენს ჩაკეტილ, ყრუ სივრცეში,
მწარე სიმართლეს არავინ გვეტყვის.
მე გეკითხებით, არწივებო:
– გამოადექით დედასამშობლოს,
იმ სისხლიანი აგვისტოს თვეში?
ვინ დაგიფასათ?
ეგებ, არც იცით:
–წყალი, პამპერსი „შემოგვაშველეს“
– მწარედ დაგვცინეს სინამდვილეში!...

მოდით, ბიჭებო,
მიხედეთ ზვრებს, მინდორ-სათიბებს,
ვიდრე მტკავლობრივ შერჩენილი
კიდევ გვექნება,
აქ დაიცავით დედასამშობლო,
აქა სჭირდება თქვენი ღონე,
აზრი, გონება,
თირემ დამთავრდა: –
თქვენ რომ დაგბადათ, იმ მიწას უკვე
უსისხლოდ, უხმლოდ,
უცხო ჯიშ-თესლი ეპატრონება.

მავთულხლართებით შემორაგულ
საზღვართან მოდით.
იქ სხვა დაგხვდებათ,
აჯაგრულს ნახავთ, სამტროდ ალესილს...
და თუკი ავად შემოგიღრინათ,
თუ მოგიღირათ ავტომატი
ცოფით და რისხვით,
გაიხსენეთ, რომ მასაც, საწყალს,
ძალიან უჭირს და ისიც მსხვერპლი,
„საზარბაზნე ხორცია“ სხვისი...
არ დაუძახოთ ოკუპანტი და ავაზაკი,
(თუმცა მოთმენა ამ დროს, ალბათ,
მეტად ძნელია).
გაიხსენეთ, რომ მასზეც, თქვენსავით,
შინაურები ლოცულობენ
და მიელიან.

მშვიდობიანად, ღიმილით მიდით,
„მახორკა“ სთხოვეთ, ისე, – ყასიდად,
შინაურული მუსაიფი გაუბით მშვიდი,
მერე უბიდან (ვითომ შემთხვევით),
სასმელის ბოთლი ამოაძვრინეთ,
ღვინის იქნება, ჟიპიტაურის
და თუნდაც – ჭაჭის,
შესახურებლად შესთავაზეთ
ისე – ყასიდად... და ცოტა ხანში,
კეთილი სხივი
მის თვალებშიც აკიაფდება,
ორივეს ერთად,
მშობელი დედა მოგენატრებათ...
მოგენატრებათ შინაურები,
ჩაძინებული ბაიას სუნთქვა
ისე ძალუმად მოგენატრებათ,
თქვენ ამერიკულს, ის „კალაშნიკოვს“
ზეაღმართავთ და ცაში გაისვრით:
სიკვდილზე ძლევას სალუტებით
ქვეყანას ამცნობთ;
ლულაში გაჩრით ალპიურ ყვავილს,
დეკა იქნება, გვირილა, თუ ედელვაისი,
დასაბამს მისცემთ
„მშვიდობისმყოფელ ჯარისკაცთა
მსოფლიო საძმოს“.

„ავღანელებო,“ „ერაყელებო,“
ოჯახში მოდით არა კუბოთი,
საკაცეებით და ყავარჯნებით
და არა როგორც „აგურები“
ზემდგომთა ტახტის გასამაგრებლად,
დიდჩინოსანთა ფუფუნების,
სკამების მცველად:
– თქვენი სამშობლოს გუშაგად მოდით,
„საქართველო“ რომ ჰქვია სახელად...

„ერაყელებო!“
ქართველ მამლუქებს დაუჩოქეთ,
ქრისტიანულად გადასახეთ
ჯვარი საძვალეს,
შესანდობარი უთხარით და
გამოტრიალდით;
დედასამშობლო მანდ ამის მეტს
არას გავალებთ.

თუ პრეზიდენტებს გული ერჩით
და ჩხუბი უნდათ,
დაე, გავიდნენ ერთი-ერთზე
მოსინჯონ მკლავი.
დამარცხებულმა გამარჯვებულს
ბავარიული ლუდი აჩუქოს,
მიუჭახუნონ მერე კათხები,
მშვიდობის შესვან სადღეგრძელო,
ძმობის, თანხმობის...
სამყაროს მათგან არაფერი
სხვა არ სჭირდება.
ბებერი დედა – დედამიწა,
შვილების ქცევით გულგახეთქილი,
გახალისდება და დამშვიდდება.

რაც მთავარია, გაიხარებს
კედელს აკრული, მოწყენილი
ნახატი ცხენი...
ვინმე თქვენგანმა ოდესღაც, ალბათ,
დედას საჩუქრად რომ მიუძღვენით,
„დაბადების დღეს გილოცავო“–
ქვეშ მიაწერეთ აჯაბაჯა,
ბალღური ხელით...
მოწყდება კედელს, რაშად იქცევა,
ყალყზე დადგება, სიხარულით აჭიხვინდება,
ფრთებს გამოიხამს
და ...გაფრინდება!..

„ავღანელებო,“ „ერაყელებო,“
ოცდამეერთე საუკუნის
მამლუქებო („თეთრო მონებო“),
მოგძახით მიწა მშობლიური,
ეს ბრძენი მახვში:
– ეეჰეეიი, ბიჭებოო,
მახეღვაჟებო (ვაჟკაცებო)!
დაბრუნდით სახლში!..

**მირონ ხერგიანი**
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
ღირსების ორდენის კავალერი

# აუცილებელია უკრაინა და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ

„ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირე ქვეყნებთან ერთად ხელოვნურად ახანგრძლივებენ ომს უკრაინაში, რადგან ქვეყნის იარაღით მომარაგებას განაგრძობენ“, — წერდა გასულ კვირას ავტორიტეტული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“. უცნაური ვითარება შეიქმნა — უკრაინელებს რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ერთის მხრივ ურჩევენ, იმავე დროს ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდებენ. არიან ფართომასშტაბიანი მსოფლიო ომის გაჩაღების მსურველებიც. აშშ-ის არმიის თადარიგის გენერალმა უესლი კლარკმა, რომელიც იუგოსლავიაში საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა, გასულ კვირას განაცხადა: „...ნატო უნდა ჩაერთოს რუსეთის წინააღმდეგ ომში“. მის აზრს იზიარებს პოლონეთის ვიცე-პრემიერი იაროსლავ კაჩინსკი. საბედნიეროდ, მათ მომხრეები ცოტა ჰყავთ, რადგან ნატო-რუსეთის ღია შეიარაღებული დაპირისპირება ბირთვულ ომს ნიშნავს, რაც არავის უნდა.



ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ავადმყოფობის შემდეგ აგრძელებს მოვალეობის შესრულებას. გასულ კვირას ნატოს ქვეყნების სამიტზე მან განაცხადა: „უკრაინის ეფექტური წინააღმდეგობა რუსეთის აგრესიაზე, დამოკიდებულია მათთვის იარაღის მიწოდებაზე, ამიტომ მძიმე შეიარაღება უნდა მივცეთ“. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა გაიმეორა მისი ქვეყნის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის სიტყვები და უკრაინას დამატებით ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის მიწოდებას შეჰპირდა. მძიმე ტექნიკისა და საარტილერიო დანადგარების გარდა, უკრაინა სამხედრო თვითმფრინავებს F-16-ს სთხოვს აშშ-ს, მაგრამ უშედეგოდ. უარი უთხრეს ასევე უპილოტო საფრენ აპარატებზეც. გერმანულ გამოცემა „ბილდთან“ სტოლტენბერგმა თქვა, რომ უკრაინელებს მიაწვდიან შეიარაღებას, რათა ბოლომდე იბრძოლონ და დაეხმარებიან იქამდე, ვიდრე საჭირო იქნება... „ბრძოლები გაგრძელდება, მოემზადეთ ხანგრძლივი ომისთვის“, — განაცხადა სტოლტენბერგმა. იმავე გამოცემასთან თითქმის იგივეს ამბობს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი.



ერთი შეხედვით ახალი არაფერი უთქვამს ნატოს გენმდივანს, მაგრამ მისივე თქმით „უკრაინაში მშვიდობის დამყარება შესაძლებელია, მთავარი ფასია... კონფლიქტის შესაჩერებლად უკრაინელებმა უნდა დათმონ ტერიტორიების ნაწილი“. ძნელია თქმა, როდის არის სტოლტენბერგი გულწრფელი.

იარაღთან დაკავშირებით საქმე მარტივად არ ყოფილა. შეიარაღების დეფიციტია ნატოს წევრ ქვეყნებში, მათ შორის, აშშ-შიც. ამიტომაც უთხრეს უარი მოთხოვნილ რაოდენობაზე უკრაინელებს — ალიანსს ამდენი იარაღი არ გააჩნია. როგორც ირკვევა, საარტილერიო დანადგარები ბრძოლის დროს მწყობრიდან გამოდის. ერთ-ერთი მიზეზი უკრაინელი სამხედროების მოუმზადებლობა ყოფილა. ამასთან, ინსტრუქციები ინგლისურ ენაზეა, უკრაინელებს უჭირთ ტექნიკური მითითებების ზუსტად, გასაგებ ენაზე თარგმნა. ვერც მწყობრიდან გამოსული ტექნიკის შეკეთებას ახერხებენ ბრძოლის ველზე. საყურადღებო განცხადება გააკეთა პენტაგონმა: „უკრაინას უკვე იმდენი იარაღი მივაწოდეთ, აქამდეც უნდა გაემარჯვათ, თუ ამას ვერ ახერხებენ, მათი ბრალია“.

სავარაუდოდ, უკრაინას „შავ ბაზარზე“ გააქვს „სტინგერები“, „ჯაველინები“, რომლებიც უკვე უხვად იყიდება სხვადასხვა ქვეყნებში“, — განაცხადა ამერიკელმა სამხედრო ექსპერტმა, დაზვერვის თადარიგის პოლკოვნიკმა სკოტ რიტერმა. აშშ-ში შიშობენ, თუ ჩინეთი ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება ტაივანში იურისდიქციის აღდგენას, მათთვის იარაღი არ ეყოფათ. სი ძინპინმა უკვე გასცა განკარგულება ჯარი გამოიყენონ არაძალადობრივი მეთოდებისთვის. ჩინეთში, ფაქტობრივად, დაიწყეს მზადება ანტიტერორისტული ოპერაციისთვის.

ბოლო პერიოდში პესიმიზმმა დაისადგურა. კულუარებში საუბრობენ, უკრაინაში ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების დაკარგვას შეეგუენო. უფრო მეტიც, ამბობენ, კიევში რამდენიმე რეგიონის დაკარგვა კი არა, ტრაგედიად მთელი ქვეყნის დაკარგვას აღიარებენ. ასეთ დროს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმერ ზელენსკი მოსახლეობას ისტორიაში ყველაზე რთულ ზამთარს ჰპირდება.



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მოუწოდა თანაგუნდელებს, შეცვალონ უკრაინის მიმართ რიტორიკა, ნუ შეუქმნიან გამარჯვების არარეალურ მოლოდინს. სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა უკვე განაცხადა: „...უკრაინის მომავალი მათ ხელშია. ჩვენ დავეთანხმებით მისი ხელისუფლების გადაწყვეტილებას“.

ევროკავშირის სამი წამყვანი ქვეყნის — გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის მეთაურები სტუმრობდნენ გასულ კვირას ზელენსკის. მათ შეუერთდათ რუმინეთის პრეზიდენტი.

გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, სტუმრები შეეცადნენ, დაეყოლიებინათ ზელენსკი, რათა დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან, რაღაც დათმობებზე წავიდეს ბრძოლების შეწყვეტისთვის. ექსპერტების შეფასებით, დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, დროებით მაინც შეაჩერონ საბრძოლო მოქმედებები, ამოსუნთქვის, ძალების მოკრების საშუალება მისცენ უკრაინის ჯარს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა: „არაერთხელ ვუთხარი ზელენსკის, ერთ კონტინენტზე ვართ ჩვენც, უკრაინაც, რუსეთიც, აქედან ვერსად წავალთ. უკრაინელებს გამარჯვებას ვუსურვებ. აუცილებელია, უკრაინა და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. ჩვენ, ევროპელებიც შევუერთდებით, რადგან საქმე ჩვენი კონტინენტის უსაფრთხოებას ეხება“.

ევროკავშირელების სტუმრობის მეორე დღეს კიევში სასწრაფოდ ჩავიდა ბორის ჯონსონი, რომელიც ზელენსკის ჯარების გაწვრთნას შეჰპირდა. თუმცა ისიც თქვა, ხალხი ომით დაიღალაო. ექსპერტების შეფასებით, ჯონსონმა უკრაინელებს შეფარვით უთხრა, ომის შეჩერება ფიქრადაც არ გაივლოთო. ანალიტიკოსებმა ჯონსონის კიევში ჩასვლა ბრიტანეთის პრობლემებიდან გაქცევად შეაფასეს. ლონდონში და სხვა ქალაქებში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები გაიმართა. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით უკმაყოფილო მოსახლეობის მოთხოვნაა ჯონსონისა და მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობით გადადგომა. უკრაინაში მიმდინარე ომს ჯონსონი (სხვა ქვეყნების მეთაურებიც) საკუთარი პრობლემების გადასაფარად იყენებენ.

სავარაუდოდ, დასავლეთი ახალ ცხელ წერტილს ამზადებს ევროპაში. მაკრონის გამგზავრებიდან რამდენიმე დღეში კიშინიოვში პომპეზური გეი-აღლუმი გაიმართა. გეი-აქტივისტებს გაძლიერებული სპეცრაზმი იცავდა. სავარაუდოდ, მოლდოველებმა ამით ევროკავშირის წევრობის საფასური გადაიხადეს.

ვითარება უკრაინაში ყოველდღიურად უარესდება. ნიდერლანდებმა დევნილები ცარიელ ციხეში გადაიყვანეს. პოლონეთი ევროკავშირისგან ორ მილიარდ ევროს ითხოვს დევნილების შესანახად. ამის გარდა, ერთ კვირაში დაიწყებენ პოლონეთის ქალაქებში რეიდების ჩატარებას და 18-60 წლის მამაკაცებს უპირობოდ დააბრუნებენ უკრაინაში.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გასულ კვირას რუსეთის ჩრდილოეთი დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგში გამართული საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი იყო. სანქციების მიუხედავად, ფორუმს 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. საპატიო სტუმრის რანგში ეგვიპტე გახლდათ. მთავარი მოვლენა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის გამოსვლა იყო. პუტინმა მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ კრიზისში დასავლეთის ქვეყნების არასწორი პოლიტიკა დაადანაშაულა. მისივე თქმით, ნებისმიერ სფეროში ყველასთან ითანამშრომლებენ. თუმცა ქვეყნის მთავარ მოკავშირედ იმპერატორ ალექსანდრ II-ის მსგავსად, არმია, ავიაცია (ალექსანდრეს დროს, მართალია, ავიაცია არ იყო, მაგრამ პუტინმა დაამატა) და ფლოტი დაასახელა. უკრაინაში მიმდინარე ე. წ. სპეცოპერაცია იძულებით ნაბიჯად შეაფასა: „...მსოფლიოს ერთპოლუსიანი პოლიტიკური მოწყობა დასრულდა“, — განაცხადა პუტინმა.

საფრანგეთში დასრულდა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური. მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში პირველად, პრეზიდენტის პარტიამ ვერ შეძლო უმრავლესობის მოპოვება. საფრანგეთში ამას კატასტროფად აღიქვამენ, რადგან ქვეყანას მართავს პრეზიდენტი, რომლის პარტიასაც ხალხი არ ენდობა. როგორ ითანამშრომლებს მაკრონი ახალ პარლამენტთან, მომავალში გამოჩნდება.

დონბასის რეგიონში ორი ამერიკელი მოხალისე „ბოევიკი“ დაატყვევეს რუსეთის ჯარებმა. ორივე აშშ-ის არმიის ვეტერანია. თუმცა მათზე საუბარი ბაიდენმა არ ისურვა. მხოლოდ ის თქვა, რომ არ იცის მათი ადგილსამყოფელი. როგორც ვხედავთ, სამყაროში ბევრის გადაფასება ხდება. საერთაშორისო ორგანიზაციები მათ რიგებში გაწევრიანების სანაცვლოდ ქვეყნებისგან ეროვნულ თუ ადამიანურ ფასეულობებზე უარის თქმას ითხოვენ.

გია ბურდული
551 71 27 07

# სულიერება უნდა დავიბრუნოთ – პოტენციალი ერში ჯერ კიდევ არის, ამას უნდა ჩავეჭიდოთ, რომ გადავრჩეთ

*გვესაუბრება*
*უფოლოგი ერეკლე შონია*

**— ბატონო ერეკლე, მგონი, გადაიარა კოვიდ ვირუსის პანდემიამ, რა მოვლენა იყო ეს — დედამიწის სანიტარული წმენდა, ზემალების დაშვება, კაცობრიობის დაუდევრობა თუ სხვა რამე?**

— მოგეხსენებათ, სამყაროს ციკლურობა ახასიათებს. ამ ციკლის მიხედვით მოძრაობენ ისინი და პერიოდულად შედიან ახალ ე.წ. უბანში, ახალი გამოსხივებების, ახალი ზემოქმედებების ზონაში.

**— ეს ხომ არ არის პარალელური სამყარო, რომელიც შეიძლება არსებობდეს და ჩვენი თვალით უხილავი იყოს?**

— დავიწყოთ იქედან, რომ ადამიანის მხედველობითი სისტემა რაღაცას აღიქვამს და რაღაცას ვერ აღიქვამს და რასაც ვერ აღიქვამს, იმას ზოგჯერ პარალელურს ვეძახით, თუმცა, სინამდვილეში, სამყაროს მოწყობის მოდელი, მთლიანი სქემა ადამიანის გონე-



ბისთვის და მისი წარმოდგენისთვის ძალიან ძნელია აღსაქმელად.

ადამიანის აღქმა ჩაკეტილია იმ ჩარჩოებში, დაბადების მომენტში რაც დაინახა, რა აღიქვა მისმა შეზღუდულმა შესაძლებლობამ, სმენამ, მხედველობამ და ა.შ. ეს არის ძალიან მწირი ინფორმაცია, ზღვაში წვეთი იმასთან შედარებით, როგორიცაა თვით სამყაროს მოწყობა.

დროდადრო დედამიწა შედის გამოსხივების ახალ ნაწილში, რომელსაც ადამიანები ერას ვეძახით, ყველა ერას ახასიათებს ახალი გამოსხივება ახალი მახასიათებლებით.

საქმე იმაშია, რომ, ზოგადად, სამყაროში ერთნაირი წესი მოქმედებს ყველაფერზე, პლანეტები ერთმანეთზე ზემოქმედებენ, მათ ჰყავთ თანამგზავრები, ამ თანამგზავრების მოქმედებით და მოძრაობით პლანეტაზე იცვლება ბიორიტმი, მაგალითად, დედამიწაზე მთვარის მოძრაობის მიხედვით ხდება მიქცევა-მოქცევები, ქარის მიმართულებები, იცვლება წელიწადის დროები და ა.შ. ასევე ხდება ადამიანებზე, საზოგადოებებზე, მის მგრძნობიარე რეაქციებზე.

XX ს.-ის დასაწყისში მოღვაწე დიდი მეცნიერი ჩიჟევსკი ამტკიცებდა, რომ მზეზე აფეთქებები პირდაპირ მოქმედებს ბიოსფეროზე, ხდება კატასტროფები, ქარიშხლები, ასევე ყოველივე მოქმედებს ადამიანზე. მზეზე ამოფრქვევების დროს იზრდება დანაშაულის სტატისტიკა. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პლანეტების მოძრაობების ცვლილებები და დაძაბულობები პირდაპირ რეაგირებს ადამიანზე და მის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ხდება რევოლუციები, აჯანყებები და ა.შ.

საუკუნეების, წლების განმავლობაში კაცობრიობამ შეაგროვა და გაამდიდრა ცოდნა ამ მიმართულებით, გარკვეული კანონზომიერებაც დაინახა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სამყარო არის ძალიან მოწესრიგებული ორგანიზმი, რომელსაც ალაგებს გარკვეული ძალა და ეს ძალა არის ღმერთი, რომელიც ადგენს სამყაროსეული წესრიგის წესებს და კანონებს...

ადამიანთა რასის არსებობა დედამიწაზე არის ბევრი ფაქტორის ინტერესი და მათ შორის, ცხადია, ღმერთისაც და რაც ხდება, რა თქმა უნდა, ყველაფერი ხდება გარკვეული დაშვებით, რომ აქ სულიერი არსებების ასეთი სახეობა იყოს, რომ მას ჰქონდეს გარკვეული ნება სამყაროში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ღმერთის დიდ ორგანიზმში.

**— ანუ ღვთის ორგანიზმში ვიმყოფებით?**

— მთელი გარემომცველი სამყარო, ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ვგრძნობთ და რაც ვართ თვითონ ადამიანები, ყოველივე ეს ექვემდებარება ერთნაირ წესებს. თანაბრად ემორჩილება ამ წესებს ყველა — როგორც მზის სისტემის პლანეტები, ისე მცირე სისტემები, როგორც მაკროკოსმოსი, ასევე მიკროკოსმოსი. ანუ ღმერთი ყველგან ადგენს განვითარების ერთნაირ წესრიგს, ამიტომ ის ცვლილებები, განვითარება დედამიწის, კაცობრობის და ა.შ. არის მარადიული და დაუსრულებელი.

როცა ჩვენი სისტემა შედის ახალი გამოსხივების ზონაში და გადის სამყაროსეულ ახალ უბნებს, ჩვენზე ზემოქმედებას იწყებენ ახალი გამოსხივებები და დედამიწის ქერქიც და ბიოსფეროც იწყებს აღგზნებას. ადამიანურ დონეზე რომ ვიმსჯელოთ, ამ პერიოდში პირველნი აღიგზნებიან ვირუსები, ბაქტერიები და ცხადია, დაავადებებიც.



აღსანიშნავია, რომ კაცობრიობას დღემდე ვერ დაუდგენია, რა არის საერთოდ ვირუსი. ზოგიერთი ამბობს, რომ ეს ცოცხალი არსებაა, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ის არ მოიხმარს ჟანგბადს, არ აქვს ცხოველმყოფელობა და ა.შ. თუმცა კაცობრიობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვირუსი არის ჩვენი შემადგენელი ნაწილი და ის ჩვენს გარეშე არ არსებობს.

როგორც ცნობილია, დედამიწაზე პირველად ბაქტერიები გაჩნდნენ. ისინი არსებობდნენ მილიონობით წლის წინათ ადამიანის გაჩენამდე.

კაცობრიობას დღემდე არ აქვს ბოლომდე შესწავლილი ვირუსების ხასიათი და ბუნება, მეტიც, დედამიწაზე არსებულ ვირუსთა შორის 5%-იც კი არ არის გამოკვლეული, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველი ახალი ერის დადგომის დროს ვირუსები იწყებენ გააქტიურებას. ეს ვირუსები გარდაქმნიან ჩვენს ორგანიზმს, ხდება ორგანიზმის გადაიარაღება, ადამიანის ბუნებრივი იმუნიტეტი ამ ბრძოლას რამდენიმე დღეში „ხარშავს“, ერევა, ბოლოს ამარცხებს დაავადებას და იმავდროულად იძენს ერთგვარ იმუნურ გამოცდილებას. ასე გადაიარა ადამიანთა რასამ ყვავილის ეპიდემიები, შავი ჭირის და ა.შ.

მაგრამ დავესესხები იმუნოლოგიის მამის, ბატონი ნოდარ გოგებაშვილის აზრს და გეტყვით: ყოველ ადამიანში ვირუსის მუტირება არის ინდივიდუალური.

ინდივიდუუმის და უჯრედულ დონეზეც კი ყველაფერი მოქმედებს ადამიანის ფსიქო-სომატურ მდგომარეობაზე. როგორც დიმიტრი უზნაძე ამტკიცებდა, განწობის თეორია მართავს ყველაფერს — ჩვენს ჯანმრთელობას, ცხოვრებას, ურთიერთობებს. ყოველივე კი, ცხადია, მოქმედებს ვირუსების აქტივობაზეც.

მაგრამ სანამ აღგზნებისა და დაძაბულობის აუცილებელ ციკლებს გავივლიდეთ, ხდება ჩვენი ორგანიზმის შემზადება გარკვეული მფარველობითი, ღვთაებრივი ძალებისგან და ორგანიზმში იწყება გადაიარაღება. ამ გადაიარაღების დროს დუღს ყველაფერი და ეს დუღილი დამოკიდებულია იმაზე, როგორი განწყობით ხვდება ადამიანის ორგანიზმი ამ ყველაფერს: დაძაბულია, გაბოროტებულია, დასუსტებულია, გახარებულია და ა.შ. და ა.შ. ყველას გვახსოვს, როგორ მძვინვარებდა, ბატონები, რომლის წინააღმდეგ ჩვენს წინაპრებს შემუშავებული ჰქონდათ ლექსები და სიმღერები, რომლებიც მოქმედებდნენ ადამიანის ორგანიზმის უჯრედულ და ატომურ დონეზე. ეს სიმღერები უნდა ემღერათ ბატონებიანისთვის, რათა დაემშვიდებინათ ავადმყოფი დადებითი ვიბრაციებით, რითაც არა მხოლოდ ადამიანი მშვიდდება, არამედ ავადმყოფის გარშემო არსებული გარემოც, მისი საცხოვრისი, რის შემდეგაც ავადმყოფობა ადვილად გადის. ეს აუცილებელია, რადგან დაავადება სრულად მატერიალიზებულია და ის ვიბრირებს როგორც უარყოფით, ასევე დადებით განწყობებზე.

რაც შეეხება ვირუსს და ასევე სხვა დაავადებებს, როგორც უკვე გითხარით, ეს არის შემზადება ჩვენი ორგანიზმისა შემდგომი ცვლილებებისთვის, ამიტომ ჯობს ადამიანმა ვირუსები გადაიტანოს, რომ ავიდეს ახალ იმუნურ საფეხურზე.

2020-ში მსოფლიოს გარკვეულმა ძალებმა ახალ წონასწორობაში შესვლა მოინდომეს, ძველის მორღვევა დაიწყეს და მოხდა ის, რომ წონასწორობის შესაჯანჯღარებლად გამოიყენებულ ჩვეულებრივ ვირუსს, დაუმატეს მედიასაშუალებები, მედიაპიარი და დიდი ფარმაკოლოგიური ინსტიტუტები — აცრების სახით, რომლებიც სინქრონში აამუშავეს. ეს შეკრული სამეული, ეს უარყოფითი ძალა, საჭირო დროს და საჭირო მომენტში გამოყენებული იქნა დომინოს ეფექტად მთელ დედამიწაზე, რადგან პრესა, მედიასაშუალებები, ფარმაკოლოგიური მაფიაც და ვირუსების ბუნებრივი აქტივიზება, პრაქტიკულად, ერთ ხელშია მოქცეული. ვირუსის პროვოცირებით მოხდა ის, რომ დაინგრა ეკონომიკა, ჩაიკეტა კავშირები, მოხდა ეკონომიკური კავშირების გადანაწილება. ყოველივე ეს კი შემდეგ გადავიდა უფრო ცხელ ფაზაში — რუსეთ-უკრაინის ომის სახით და დღესაც, თუ დააკვირდებით, მშვიდობა არავის უნდა. მთელი ეს ძალები ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რომ იყოს ომი და დაძაბულობა. ეს არის კატასტროფა დედამიწისთვის, მით უმეტეს, რომ არსებობს ატომური იარაღი და როდის რას გამოიყენებენ, არავინ იცის.

ეს მოვლენები მაგონებს პირველი მსოფლიო ომის მდგომარეობას, როცა მთელი მსოფლიო იყო აღტყინებული, მთელი ევროპა გახარებული, უხაროდათ ომის დაწყება, მოხარულნი იყვნენ, რუსეთის ჩართვით დიდ ომში, თუმცა საბოლოოდ ის ომი არ აღმოჩნდა სარგებლიანი არავისთვის. იგივე ევროპაში სამი დიდი იმპერია დაინგრა — ოსმალეთის, ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის.



მსგავსი უგუნურებანი კაცობრიობას ძალიან ძვირი უჯდება.

**— ეს ყველაფერი დაშვებულია უზენაესი ძალის მიერ?**

— დედამიწა მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც მთელი სამყაროსეული სულები გადიან სულიერ კათარზისს, ხსნას, გადიან გარკვეულ ციკლს. ყოველი სული დედამიწაზე არის ღმერთის ნაწილაკი, როგორც ოკეანის წვეთი. დედამიწაზე ჩვენ ვიღებთ გარკვეულ გამოცდილებას, ვიხარჯებით, ერთმანეთს ვეხმარებით, ვცვლით გარემომცველ სამყაროს და მიგვაქვს ეს გამოცდილება ისევ იმ ოკეანეში. ასე ხდება მარადიულად. ეს მარადიულობა რომ არ დაირღვეს და ნაწილაკი, სული რომ განვითარდეს, ამ პროცესში ჩარევის უფლება არავის არ აქვს — არც ანგელოზებს, არც სხვა ძალებს. ის უნდა განვითარდეს და ამ განვითარების გზაზე, რა გზაც უნდა იყოს ის, ჩარევის უფლება არავის აქვს. ყოველ საზოგადოებას თავისი არჩევანი აქვს, თავისი მისია და თავისი გზა.

**— როგორც საზოგადოებები, ასევე, კონკრეტულად, ინდივიდი, ადამიანი, დედამიწაზე ფუნქციის და დანიშნულების გარეშე ხომ ვერ „გადმოვარდებოდა“?**



— დიახ, ის იმთავითვე იღებს უფლებას და ნებას, რა აქვს გასაკეთებელი ამ სამყაროში.

**— თვითონ ირჩევს სული თავის გასაკეთებელ „საქმეს“ თუ უზენაესი აძლევს „დავალებას“?**

— „ის“ და „ეს“ ორივე განუყოფელი ნაწილებია, თუმცა, არის ძალიან ბევრი რამე, რაც ჩვენ არ ვიცით და ახლაც ყველაფერს მოაზრების დონეზე ვლაპარაკობთ.

სული თავად ირჩევს თავის გასაკეთებელს, „ჩამოდის“, ხდება მისი ადაპტაცია ოჯახში, სადაც დაიბადება, ეგუება გარემოს და ხდება ის, რომ, როდესაც კარგად ადაპტირდება და მზადაა, დაიწყოს თავისი მსახურება — დაეხმაროს ადამიანებს, გარდაქმნას სამყარო, შექმნას ახალი ცხოვრება; ახალი ცხოვრება არის ყოველი არჩევანი, ყოველი შეცდომა, შეცდომიდან გამოსვლა, გაძლიერება და ა.შ. და სული, რომელიც დედამიწაზე რაღაცებს არღვევს, მაგალითად, ათი მცნების მცნებებს, ამით არღვევს თამაშის წესებს, ამიტომ მძიმდება შინაგანად და ავტომატურად, მისი შეშვება ღვთაებრივ ორგანიზმში არ შეიძლება, რა განსაწმენდელი სიტუაციებიც არ უნდა გაიაროს.

საკმარისია, რომ სულმა გადაუხვიოს თავის დანიშნულებას, მაგალითად, მხატვრად იყოს დაბადებული და მზარეული გახდეს, ან ბუღალტერიაში წავიდეს, ეს ანგრევს მის სულიერ წონასწორობას. ამიტომ ადამიანმა უნდა აკეთოს ის საქმე, რისი ნიჭიც აქვს და რაც არის მისი დანიშნულება. რამდენი ტაქსისტი შეგხვედრიათ, რომლებიც ამბობენ, მე კი ვტაქსაობ, მაგრამ ტაქსისტი არ ვარ, პურის მცხობელი გეტყვით, რომ მას უმაღლესი განათლება აქვს, მაგრამ პურს აცხობს. ანუ ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში კეთდება, კეთდება უსიყვარულოდ, ანუ იმის მაგივრად, რომ სამყაროში კმაყოფილებისა და სიყვარულის ენერგია იფრქვეოდეს და მადლი მრავლდებოდეს, რისთვისაც არის ადამიანი დაბადებული, ყველაფერი პირიქით ხდება.

ჩვენი საზოგადოება აფრქვევს უსიყვარულობას და საბოლოო ჯამში, იმკის იმას, რაც დათესა.

ჩვენი მოვალეობა არის ერთი — ვაკეთოთ მადლი და სიკეთე, ურთიერთსასარგებლო საქმე, ვიყოთ ერთმანეთთან ინტეგრირებული, დავწეროთ ლექსები, დავხატოთ, მიწა დავხნათ, ყველამ თავ-თავისი საქმე აკეთოს.

**— მაგრამ სოცილურ-ეკონომიკური ვითარება დღეს არ აძლევს ყველა ადამიანს იმის შესაძლებლობას, რაც უნდა, ის გააკეთოს...**

— მე ვამბობ სხვა რაღაცას. მაგალითად, ადამიანი როცა იბადება, მაგალითად, მხატვრად, მას მოჰყვება მთელი ფიზიოლოგია — დედის საშოდან და დაბადებისთანავე, იმთავითვე არის გაწერილი მასში, როგორი უნდა იყოს ის, როგორი იქნება მისი ჰორმონალური ფონი, რა უნდა იყოს მისი მასტიმულირებელი და ა.შ. მაგრამ, როცა მშობელი ეუბნება ბავშვს, რომ მაგალითად, ჩვენ ოჯახში ყველანი ვართ ექიმები, შენ ვერ გამოხვალ მხატვარი და თუ ადამიანი გატყდა შინაგანად, ჩაიქნია ხელი, გამოამჟღავნა სისუსტე და გახდა, ვთქვათ, ექიმი, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება კარგი ექიმი დადგეს, შინაგანად არასდროს არ იქნება ბედნიერი, დაიწყებს საკუთარი თავის ძებნას, და ამ დროს, შეიძლება გასინჯოს ნარკოტიკი, ალკოჰოლი და ის ნიჭიერი კაცი, რომელიც, ვთქვათ, მხატვრად იყო დაბადებული, გამარტივდა, დახურდავდა, გადაუხვია ძირითად გზას და გაუბედურდა საბოლოოდ. ანუ მოხდა ადამიანის რობოტიზაცია. დღესაც შეხედავ ახალგაზრდა ქალბატონებს და თვალებში ცეცხლი ჩამქრალი აქვთ, მამაკაცები გაფითრებული, უინტერესო სახით დადიან, ეს არის უბედურება. დავიწყოთ აღზრდიდან, 30 წლია მიმდინარეობს არასწორი კულტივაცია.

**— ყველაფერ ამას თავისი მიზეზები აქვს და ეს რომ განვიხილოთ, ალბათ, მთელი გაზეთი არ გვეყოფა.**

— დიახ, მაგრამ ის მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გავდივართ ახალ „უბნებს“, იწყება ახალი წონასწორობის შექმნა, ძველი ინგრევა, ახალი უნდა დაიბადოს და ამ დროს ადამიანი და საზოგადოება შინაგანად უნდა იყოს ძალიან ძლიერი. ცხადია, ეკონომიკურ სიძლიერეს არ ვგულისხმობ, ანუ, როგორც კი ჩვენ დავარღვიეთ ჩვენი ძირითადი, სამყაროსეული წესი, რომ ჩვენ ვართ სოციალური სოლიდარობის საზოგადოება, ჩავიკეტეთ ეგოიზმში, გინდ დიდძალი ფული გქონდეს, დაავადება, ვირუსი მოგაგნებს ყველგან, სადაც უნდა იყო და ამ დროს ღმერთი ან ვინმე კი არ გვსჯის, ჩვენ თვითონ ვიხარშებით ჩვენს ნამოქმედარში, ჩვენს ნააზრევში და ამის შედეგია ყველაფერი.

30 წელიწადი რომ ვერ შევქმენით ნორმალური საზოგადოება და სულ ვართ სხვისი კარნახის ქვეშ, ის დავალებები და მითითებები, რომელსაც გვაძლევენ, ძირითადად, მორგებულია სხვებზე და არა ჩვენზე. ჩვენს ფსიქოტიპს, გენოტიპს, სხვა რაღაცა სჭირდება და იწყება სოციალური დაძაბულობები, ფსიქოზები, მოსახლეობის გადინება, სხვა ძალებით ჩანაცვლება და ჩვენ ვხდებით ძირითადად, მომსახურე პერსონალი. სინამდვილეში, ჩვენ სხვა სულიერი მისია გვეკისრება კაცობრიობის წინაშე.

**— როგორც ადამიანებს, ასევე ერებსაც აქვს სულიერი მისიები?**

— რა თქმა უნდა, იმიტომ მოვყევი თავიდანვე ატომის და უჯრედის დონიდან, რომ, როგორც მცირეში, ასევე დიდშიც, იგივე მოვლენები ვითარდება და როცა უჯრედები ერთმანეთთან ვერ თანხმდებიან, როცა არაა ჯანსაღი მოძრაობა, ჟანგბადი არ მიეწოდება, იმ უჯრედის ამოკვეთა ხდება. ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ ჩვენი, ქართველების ამოკვეთის პროცესებისკენ მიდის ყველაფერი, რადგან ვერ დავლაგდით, ვერ ავირჩიეთ სწორი მიმართულება, აღარ გვაქვს სიყვარული და ამ ადგილას ჯანსაღი ერები, რომელთაც განვითარებისკენ, გამრავლებისკენ აქვთ მიმართულება და მოთხოვნილება, ჩვენს ადგილს იკავებენ. ეროვნული ორგანიზმი ძალიან დიდი ხიფათის ქვეშ არის. მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო, გონიერება მოვიკრიბოთ. ამ გონიერებას ვერ მოგვცემს ვერც ერთი პარტია. გონიერება უნდა ვეძებოთ რწმენაში, ჩვენი ერის კორიფეებში, მეცნიერებში, მოაზროვნე ადამიანებში.

30 წლის წინ გავიხლიჩეთ და ახლა შეერთების დროა. სულიერება უნდა დავიბრუნოთ, რაც ცალსახად, ეკლესიას არ გულისხმობს, ერის სულიერ ძალაზე მაქვს საუბარი, ეს პოტენციალი ერში ჯერ კიდევ არის და ამას ჩავეჭიდოთ, რომ გადავრჩეთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69



* * *

**- ოჯახური ძალადობის სანქცია მაინტერესებს.**

**- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $126^1$ - მუხლი - ოჯახში ძალადობა**

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, —

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის, —

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

* * *

**- ვიმყოფები სამუშაოდ უკაინაში. მეუღლე და ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილი ცხოვრობენ თბილისში. ვინაიდან ჩემი მეუღლესთან ცხოვრება, მისი მეტისმეტად კონფლიქტური ხასიათის გამო, გაუსაძლისია, მსურს განქორწინება. როგორ მოვახერხო ეს უკრაინიდან?**

- ძალიან ვწუხვარ, რომ გაგიჩნდათ ოჯახის დანგრევის სურვილი. რა თქმა უნდა, არ გახვევთ ჩემს აზრს თავზე, მაგრამ თუ არსებობს სულ მცირე შესაძლებლობა მაინც ოჯახის შენარჩუნებისა, გირჩევთ, გამოიყენოთ ეს შესაძლებლობა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, გიპასუხებთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ ბრძანდებით საქართველოში, განქორწინება არ წარმოადგენს პრობლემას. შეგიძლიათ, თქვენს სასურველ ადვოკატს გაუფორმოთ ოფიციალური მინდობილობა სანოტარო წესით, რაც საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის ხორციელდება სკაიპით. ადვოკატი მოამზადებს შესაბამის სარჩელს, გადაიხდის სახელმწიფო ბაჟს, მოიპოვებს თქვენს ქორწინების მოწმობას და სარჩელით მიმართავს სასამართლოს განქორწინების თაობაზე.

* * *

**- ვარ მოწმე ერთ - ერთ სისხლის სამართლის საქმეში. გთხოვთ, გამაცნოთ ჩემი უფლებები.**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს:

ა) იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;

ბ) თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც ჟესტური ენის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;

გ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;

დ) არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;

ე) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

ვ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

ამავე მუხლის მე - 2 ნაწილი მოიცავს, ასევე, მოწმის ვალდებულებებს.

მოწმე ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;

ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

გ) არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;

დ) დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;

ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

# ირანი – ჩვენი მეზობელი

## ირანი გუშინ, დღეს, ხვალ

*ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა, აღმოსავლეთმცოდნე ემზარ მდინარაძემ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, მეზობელი ირანის შესახებ მომზადებული მასალები გადმომცა, რომელიც, ვფიქრობ, დიდად საჭირო ინფორმაციებით არის სავსე და მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ პოლიტიკური წრეებისთვისაც.*

*სტატიაში ნათლად არის აღწერილი მსოფლიოს დიდი ქვეყნების ინტერესები ირანის მიმართ და ჩვენი კიდევ მეორე მეზობლის — რუსეთის და არა მხოლოდ რუსეთის, მიზნები ირანისადმი. ყოველივე კი, საქართველოსთვის იმდენად არის გასათვალისწინებელი, რამდენადაც ეს საკითხები პირდაპირპროპორციული ურთიერთქმედებით არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მომავალთან.*

*მე მადლობელი ვარ, რომ ბატონმა ემზარმა დამდო პატივი, ამ მასალებს ჩემს ხელში „გაევლო“.*

ირანდა კალანდაძე



### ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა

1979 წელს ირანში ისლამურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. მონარქია დაამხეს და ხელისუფლებაში მუსლიმი სამღვდელოება მოვიდა.

საბჭოთა კავშირის მმართველები — ბრეჟნევი და მისი გუნდი — კომუნისტური ილუზიების ტყვეობაში იყვნენ და არ ესმოდათ სპარსეთში, სინამდვილეში, რა მოხდა. უკვირდათ, ისლამურმა რევოლუციამ როგორ გაიმარჯვა, თუკი მასში პროლეტარიატი არ მონაწილეობდა.

— რას ჰქვია, ირანში პროლეტარიატი არ არის. მაშინ ვინ არიან ის ადამიანები, მორწმუნეთა ბნელი მასები? გამორიცხულია. მუსლიმანი მღვდელები — მოლები? რა უმსგავსობა და უწესობაა? სხვათა შორის, სად არიან ირანელი კომუნისტები? იქ ვინმე ჩვენიანი არის?

ირანის რევოლუციის შესახებ კითხვები მრავლად იყო.

პასუხების პოვნა შეიძლებოდა, თუკი თვალებს კარგად გაახელდი და სინამდვილეს დააკვირდებოდი, მაგრამ ეს პასუხები გაბატონებულ კომუნისტურ დოქტრინას ეწინააღმდეგებოდა. ამის გამო საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელები ბრეჟნევი და მისი გუნდი თვალების გახელასა და სინამდვილის დანახვაზე უარს ამბობდნენ და ჩვეული კომუნისტური ილუზიების საამო გარემოში რჩებოდნენ.

შეგიძლიათ ვინმემ გასაგებად ამიხსნათ, ეს რა რევოლუციაა?

მისგან რაიმე სარგებლობა თუ გვაქვს?

— გვაქვს. ამერიკელები განდევნეს. აი, ხედავთ, ე.ი. ეს ანტიიმპერიალისტური რევოლუციაა, ფიქრობდნენ რუსეთში და საბჭოეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა საბოლოოდ სწორედ ამ თვალსაზრისზე შეთანხმდა, მაგრამ იქვე გაჩნდა პასუხგაუცემელი კითხვა: თუკი ირანის რევოლუცია ანტიიმპერიალისტურია, მაშინ რატომ აქვთ ლოზუნგი — სიკვდილი საბჭოთა კავშირს?! ჩვენ ხომ პლანეტის დაჩაგრულთა საყრდენი ბურჯი ვართ? — ასე აზროვნებდა ბრეჟნევის ხელისუფლება ირანის საკითხში.

ახალგაზრდა, ირანში მოღვაწე დიპლომატებს, ამ პროცესებში არ რევდნენ, მეტისმეტად ახალგაზრდები არიანო. ამიტომ ახალგაზრდები მხოლოდ თარგმნიდნენ სპარსული პრესის მასალებს. მაართმევდნენ რა, მიუღებელი აზრებით სავსე მოხსენებებს, რისკავდნენ, რომ უფროსთა რისხვას დაიმსახურებდნენ.

არადა, ირანის ისლამური რევოლუცია წარმოადგენს მე-20 საუკუნის ბოლოს წარმოშობილ ახალ მოვლენას, ერთ ცალკეულ ქვეყანაში გამარჯვებულ ისლამს, რომელმაც სათავე დაუდო ისლამის გამოღვიძებას მთელ მსოფლიოში.

იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ გაჩნდა და რა ნიადაგზე აღმოცენდა ეს ისლამურ-თეოკრატული რეჟიმი, საჭიროა, თვალი გადავავლოთ ირანის ისტორიას ბოლო სამი-ოთხი საუკუნის მანძილზე.

### შაჰ აბას პირველი და რუსეთი (1587–1629 წლები)

შაჰ აბას პირველი ირანში 1587 წელს გამეფდა. მან ქვეყანა სრული დაშლისა და ნგრევის მდგომარეობაში მყოფი, შინააშლილობისა და გარეშე მტრების შემოსევის საფრთხეში მყოფი ჩაიბარა.

განსაკუთრებით დიდი პრობლემა იყო ოსმალთა თურქეთის შემოტევა. თურქებთან ომი უზარმაზარ ძალებს ნთქავდა. შაჰ აბას პირველს მოკავშირეთა დახმარება დასჭირდა და ოსმალთა წინააღმდეგ საერთო ძალებით საბრძოლველად მოკავშირეთა მოსანახად ევროპაში დიპლომატიური მისიები დაგზავნა. მისიებმა დიპლომატიური ნიადაგი მოსინჯეს პარიზში, ლონდონში, რომში და ვალიადოლიდში (მაშინდელი ესპანეთის დედაქალაქი), მაგრამ არსად არაფერი გამოვიდა. თურქებთან ომი არავის სურდა. შაჰ აბას პირველმა რამდენჯერმე გააგზავნა ელჩობა მოსკოვშიც, რათა თურქთა წინააღმდეგ კავშირი დაედო, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. შეიძლება ძალები არ ჰყოფნიდათ, შეიძლება სპარსელთა მიმართ ცუდი განწყობა ჰქონდათ და რუსებმა მათ დახმარება არ გაუწიეს. თანაც რუსები სამხრეთისაკენ მოიწევდნენ და შაჰის სამფლობელოებს უახლოვდებოდნენ.

1588 წელს მოვალეობის შესრულებას შეუდგა ირანში რუსეთის პირველი ელჩი, თავადი ვასილ ჩიკოვი.

შაჰ აბას პირველმა იგი დიდი პატივით მიიღო. ადგილობრივი წესების დარღვევით ელჩს ნება დართეს, შაჰისათვის ფეხზე არ ეკოცნა, ნადიმზე სხვებზე მაღლა დასვეს, ერთგულ მეგობრობას დაჰპირდნენ. ამის დასტურად ირანმა რუსეთს აჩუქა ქალაქები: დერბენტი და ბაქო, რომლებიც იმ დროს ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამის შემდეგ შაჰ აბას პირველის მეფობის პერიოდში 1587-1629 წლებში, დროში, რომელიც რუსეთში თევდორეს, ბორისისა და მიხეილის მეფობის პერიოდებს დაემთხვა, რუსეთ-ირანის ურთიერთობები ასე ვითარდებოდა: სპარსელები სხვადასხვა ეშმაკობებითა და ცბიერებით ცდილობდნენ რუსები ირანის ტერიტორიებიდან მოეშორებინათ და თურქთა წინააღმდეგ მიემართათ. რუსები კი გულუბრყვილოდ ზომავდნენ სპარსეთის სამფლობელოებს და წუხდნენ — რა ცუდია, რომ მათ დასაპყრობად, ჯერჯერობით, ძალა არ გვყოფნისო.



ალექსანდრე ბარიატინსკი

რუსეთი თავის ამბიციებსა და ქედმაღლობას არ მალავდა, რის გამოც ირანსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მუდმივად მერყეობდა.

1618 წელს დიაკ ტიუხინს, რომელიც რუსეთის ელჩის თავად ბარიატინსკის თარჯიმანი გახლდათ, ასეთი სიტყვების გადმოთარგმნა მოუწია: „ნაწყენი ვარ მე თქვენს ხელმწიფეზე“, — ამბობდა შაჰ აბას პირველი, „იმის გამო, რომ, როცა ჩემი ელჩები მასთან ჩავიდნენ, მოსკოვშიც და სხვა ქალაქებში — ყაზანსა და ასტრახანში მათ ეზოებში კეტავდნენ, როგორც საქონელს, ეზოებიდან ერთ ადამიანსაც არ უშვებდნენ, არაფრის ყიდვის უფლებას არ აძლევდნენ, ეზოებს მსროლელები (სტრელცები) დარაჯობდნენ. და მე ვბრძანებ — თქვენც ასევე გამოგამწყვდიონ. ისე ჩაგსვამთ, რომ თქვენთან ჩიტიც ვერ შემოფრინდება. ჩიტი კი არა, ჩიტის ბუმბულსაც ვერ დაინახავთო“.

შაჰი რუსეთის მეფეზე სუსტი არ იყო და თავის შეურაცხმყოფელებს საკადრის პასუხს სცემდა, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე მეფე მიხეილმა მას ფულადი დახმარება სთხოვა პოლონელების წინააღმდეგ ომში. შაჰ აბას პირველმა გულუხვად მისცა მას 7 000 ვერცხლის მანეთი და ახლა თავადი ბარიატინსკი ჩამოსული იყო, რათა შაჰისთვის ფული კიდევ ეთხოვა, ანუ შაჰის ელჩობის დამცირებისათვის არავითარი ობიექტური მიზეზები არ არსებობდა.

საინტერესო იყო რუსეთის ხელისუფალთა რეაქცია შაჰ აბას პირველის აღშფოთებაზე. როცა ელჩობა შინ დაბრუნდა, მთარგმნელი ტიუხინი შეიპყრეს, სასტიკად აწამეს, ქონება ჩამოართვეს და ციმბირში გადაასახლეს. დროთა განმავლობაში მხარეები შერიგდნენ, მაგრამ რუსები მაინც მუდმივად გადადიოდნენ დიპლომატიაში მიუღებელ უხამს ტონზე. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო მაგალითი თეოფილაქტიევისა და ტუპიაკინისა, რომლებიც შაჰ აბას პირველის კარზე რუსეთის უკანასკნელი ელჩები იყვნენ. კერძოდ, მათ უარი თქვეს, შაჰს წარსდგომოდნენ სხვა ქვეყნების ელჩებთან ერთად. განაცხადეს — ამას მხოლოდ ცალკე გავაკეთებთო. რუსეთის მეფის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი მიმინოების ნაცვლად შაჰს გზაში დახოცილ ფრინველთა კუდები და ბუმბულები მიართვეს. როცა შაჰ აბას პირველმა ისინი მოედანზე მიიწვია ცხენების წვრთნის საყურებლად, დაპატიჟება არ მიიღეს და არ წავიდნენ. ამასთანავე, უარი თქვეს ეტარებინათ ტანსაცმელი, რომელიც მათ შაჰმა აჩუქა. ამის გამო შაჰ აბას პირველი ისე განსრისხდა, რომ ორივე ელჩი პირდაპირ კინწისკვრით გაყარა სასახლიდან. მერე ირანიდანაც განდევნა და რუსეთის მეფე მიხეილს სათანადო სიგელი გაუგზავნა. თუმცა თვით ასეთმა სერიოზულმა დემარშმაც კი ვერ შეცვალა ელჩთა საქციელი. შინისაკენ მიმავალ გზაზე, ქალაქ არდებილში, ტუპიაკინმა თავის მსახურებს უბრძანა, მოეპარათ ლამაზი თათარი ბიჭი, რომელიც თვალში მოუვიდა. შემდეგ ყუმუხთა (ყალმუხები) მიწაზე გავლისას, ეს ბიჭი მონად გაყიდა. ყალმუხეთში თავის მსახურებს პატარა გოგონა მოაპარინა და ეს გოგონა ყალმუხეთიდან სკივრში ჩამწყვდეული გაიყვანა. დამახასიათებელია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულთა მიუხედავად, რუსეთში ელჩები გაამართლეს, მაგრამ გაამართლეს იმის გამო, რომ შაჰ აბასთან ნადიმზე, როდესაც რუსეთის მიწის სადღეგრძელო დალიეს (შაჰ აბასის კარზე მაშინ არსებული კანონების დარღვევით სპირტიან სასმელებს სვამდნენ), ტუპიაკინმა თავისი სასმისი არ გამოსცალა. ტუპიაკინი ამ ბრალდებით შეიპყრეს. მეფემ მისი მოკვლა ბრძანა. მაგრამ შემდეგ მეფემ პატრიარქის ფილარეტ ნიკიტიჩის თხოვნა შეისმინა და ტუპიაკინს მხოლოდ მამულების ჩამორთმევა და სამუდამო პატიმრობა აკმარა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსულ-ირანული მეგობრობა არ შედგა და ამის გამო სპარსელთა დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან ეს, უბრალოდ, უსინდისობა იქნებოდა.

ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე რუსები, რბილად რომ ვთქვათ, სპარსელებს არამეზობლურად ეპყრობოდნენ, მათ მხოლოდ და მხოლოდ ზემოდან უყურებდნენ და ცდილობდნენ, რაიმე წაერთმიათ. სპარსელები ეწინააღმდეგებდნენ, მაგრამ რუსები მაინც წაართმევდნენ ხოლმე, თუკი შესაძლებლობა მიეცემოდათ, თან ამტკიცებდნენ, სავსებით მართლები ვართო.

(გაგრძელება იქნება)

# რა ხდება „ღმერთის მონახულების" შემდეგ?

იტალიური ქალაქის კანეტო დი კარონიას ანომალური ისტორია 2004 წლის იანვრიდან დაიწყო, როცა ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე აფეთქდა, ტექნიკამ, წყალგამტარმა მილებმაც კი თვითაალება დაიწყეს. ქალაქს ელექტროენერგია შეუწყვიტეს, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც მოსახლეობის დროებით ევაკუაციამდე მივიდა საქმე. ვერც გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ნაციონალური ინსტიტუტის თანამშრომლებმა და ვერც იტალიის საზღვაო ფლოტის ექსპერტებმა გაარკვიეს რამე.

ქალაქის მოსახლეობამ ამ ამბავში ეშმაკის ხელი დაინახა, ჩაატარეს განწმენდის კათოლიკური რიტუალი, თუმცა უშედეგოდ. მოგვიანებით ადამიანებს მაინც ანომალიებთან ერთად მოუხდათ ცხოვრება – გამძნარ კონდენციონერებთან და გამტარებთან ერთად, ტკაცუნით მტრევად ავტომობილის შუშებთან, თვითაალებად ავეჯთან და უჩვეულოდ დახოცილ ცხოველებთან ერთად. 2005 წლის აპრილში იტალიის მთავრობამ სპეციალური სამთავრობო ჯგუფი შექმნა ოფიცრების, ინჟინრების, არქიტექტორების, გეოლოგებისა და ფიზიკოსების მონაწილეობით, რათა ქალაქში მომხდარი უჩვეულო მოვლენათა მიზეზები გაერკვიათ.

დაფიქსირებული იქნა გაურკვეველი წარმომავლობის მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც, სავარაუდოდ, ზღვის მხრიდან მოდიოდა, თუმცა, ერთი წლის მერე საქმე „უცნობი გამოსხივების" შესახებ დაიხურა.

მცირე სიწყნარის მერე უჩვეულო ხანძრები ისევ დაბრუნდნენ. 2014 წლის 30 სექტემბერს კანეტო დი კარონიას სხვადასხვა რეგიონებში თვითაალების ფაქტები დაფიქსირდა. მასმედიის თქმით, მოხდა მოსახლეობის კიდევ ერთი ევაკუაცია. იტალიელებს შორის ხმა გავრცელდა, რომ ეს ყველაფერი ერთი ადამიანის ბრალი შეიძლება იყოს, რომელმაც ძლიერი ემოციური შოკი გადაიტანა, რის გამოც მას ზებუნებრივი თვისებები განუვითარდა. ჟურნალისტების თქმით, ადამიანის ფანტაზიებს საზღვარი არა აქვს და თუ ექსპერტები ამ მოვლენებს მეცნიერულ ახსნას ვერ მოუძებნიან, კიდევ უფრო გაუგონარი თეორიები შეიძლება გაჩნდნენ, ვიდრე აქამდე გვქონია.

თვითაალება ამოუხსნელ მოვლენებში გადის და დღემდე მეცნიერების დავის საგანია. თვითაალება ბევრ უძველეს წიგნშია ნახსენები, მათ შორის ბიბლიაშიც. მაშინ თვითაალებას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ. მკაფიოდ პირველად ფრანგმა ჟონას დუპონტმა აღწერა 1673 წელს. მის ჩანაწერებში ნახსენებია ვინმე ნიკოლ მილეტი, რომელსაც ცოლის მკვლელობის ბრალდებით ასამართლებდნენ, თუმცა აღმოჩნდა, რომ მისი ცოლის გარდაცვალების რეალური მიზეზი თვითაალება იყო. ის ყოველთვის ბევრს სვამდა და ერთხელაც დამწვარი იპოვეს იმ დონეზე, რომ უვნებლად მხოლოდ თავის ქალა და თითების ძვლები იყო შემონახული. ჩალის ჭილოფი კი, რაზეც იწვა, უმნიშვნელოდ იყო დაზიანებული.

მსგავსი შემთხვევები მრავლად განმეორდა მეთვრამეტე, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში. ბოლო სამასი წლის განმავლობაში თვითაალების ორასამდე შემთხვევა დაფიქსირდა და ცოცხლად გადარჩენა მხოლოდ ორმა მოახერხა. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში, გამოკვლევა ვერ ტარდებოდა. მიზეზი ჯერაც უცნობია. 1992 წელს გამოცემულ ჯენი რენდლზისა და პიტერ ჰესის წიგნში თვითაალების ოთხმოცდახუთი შემთხვევაა აღწერილი, რომლებიც 1850 წლიდან მოხდა. 1725 წლის 20 თებერვალს, საფრანგეთში, რეიმსის ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონე ჟან მილეტი ცეცხლის სუნმა გამოაღვიძა. მან სასტუმროს სტუმრები გამოაღვიძა და ისინი სამზარეულოში ნიკოლის, ჟან მილეტის მეუღლის გვამს წააწყდნენ. ნიკოლის თავის ქალისა და ხერხემლის მცირე ნაწილის გარდა სხეული მთლიანად დამწვარი იყო. ახლოს მდებარე ხის ავეჯი და სხვა ობიექტები კი ხელუხლებელი. მილეტი გაასამართლეს და ცოლის განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ სცნეს, მაგრამ გასაჩივრების შემდეგ ახალი დეტალები გახდა ცნობილი, აალების დამეს სასტუმროში მყოფი ექიმის განცხადებით, ქალბატონის გარდაცვალება „ღმერთის მიერ მონახულების" შემდეგ უცნობი მიზეზით მოხდა. მალე გაირკვა, რომ ნიკოლ მილეტი დიდი რაოდენობით ალკოჰოლს მიირთმევდა. ამ შემთხვევის შემდეგ თვითაალებას ალკოჰოლის მიღებასთან აკავშირებდნენ. თვითაალების კიდევ ერთი აშკარა ფაქტი მერი რისერისთან დაკავშირებით, 1951 წელს ფლორიდის შტატში დაფიქსირდა.





მისი გვამი 2 ივლისის დილას იქნა აღმოჩენილი. მერის სახლის მეპატრონეს მისი მონახულება სურდა და რისერის ოთახის კარის შეღება სცადა, თუმცა კარის სახელური ზედმეტად ცხელი აღმოჩნდა. როდესაც რისერის ოთახის გაღება შესაძლებელი გახდა, იქ მერის დამწვარი სხეული აღმოაჩინეს, რომელიც მაგიდის კუთხეში იჯდა. ოთახის ავეჯიდან მხოლოდ იმ მაგიდის კუთხე იყო მცირედ დამწვარი. გვამთან ახლოს მდებარე გაზეთიც კი ხელუხლებელი იყო. კრემატორიუმის წარმომადგენლებისა და ჩატარებული ცდების მტკიცებით, ადამიანის აალებას, და ასევე, მისი ძვლების სრულიად დაწვას განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურის კონცენტრაცია სჭირდება. ნორმალურ პირობებში კი ასეთი კონცენტრაციის მქონე მაღალი ტემპერატურა მნიშვნელოვნად დააზიანებდა გარშემო მდებარე საგნებს. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ამ ფენომენისადმი მეცნიერული შეხედულებები ნელ-ნელა პარანორმალურ ახსნებში გადადიოდა.

თვითაალების შესახებ უამრავი ვარაუდი გამოითქვა, ზოგიერთი მას დედამიწის სიღრმეში არსებულ მაგნიტურ არეულობას უკავშირებდა, ზოგი – უცხოპლანეტელებს, ზოგი კი – წყევლას. ვინსენტ გადისი, რომელიც ანომალური მოვლენების კვლევითაა ცნობილი, ფიქრობდა, რომ თვითაალება დეპრესიასთან და თვითმკვლელობის სურვილთანაა დაკავშირებული. შესაძლოა, რომ თვითაალების მიზეზი გახდეს იგივე მუხტი, რაც ადამიანს სუიციდისკენ უბიძგებს.

ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერი დუგელ დრისდეილმა წამოაყენა „პატრუქის თეორია" და ვარაუდობდა, რომ სხეული, რომელიც დიდი რაოდენობით ცხიმს შეიცავს, მაღალი ადგილობრივი ინტენსივობის შემთხვევაში, შეიძლება იწვოდეს ისევე, როგორც სანთელი. მის თეორიას რამდენიმე მეცნიერიც მიემხრო. თუმცა, ნორმალურ პირობებში, ისეთი მაღალი ტემპერატურის მიღწევა, რაც ადამიანის ძვლების აალებას გამოიწვევს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ადამიანის სპონტანური აალება მეტად იშვიათ მოვლენად ითვლება. არაერთმა მეცნიერმა, რომლებიც ამ თემაზე მუშაობდნენ, ფაქტების იშვიათობის და ანომალურობის გამო იგი, ისევე როგორც "ბერმუდის სამკუთხედი", ზებუნებრივ საიდუმლოდ ჩათვალა. დღესდღეობით თვითაალების მიზეზად რამდენიმე ვერსიაა დასახელებული, ჩვეულებრივი გარეგანი ფაქტორები, მაგალითად, ანთებული სიგარეტი. მოჩვენებები ან უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლები რას გვერჩიან, უცნობია. ადამიანის ორგანიზმი შეიცავს აირებს, მაგალითად, მეთანს, რომელიც დიდი რაოდენობითაა საჭმლის მომნელებელ სისტემაში. ელექტრული განმუხტვის დროს კი მეთანი საწვავის როლს ასრულებს და ადამიანი შიგნიდან იწვის, ამიტომაც არ ვნებს სხვა საგნებს.

თვითაალების ბევრი მსხვერპლი ლოთი იყო. თუმცა ეს ვერსია უარყვეს, რადგან ამ შემთხვევაში ალკოჰოლის კონცენტრაცია 23% მაინც უნდა იყოს. იმ დროს როცა ალკოჰოლით მოწამვლისას ეს მაჩვენებელი 1%-ია. ქიმიური ნაერთების რეაქციაში შესვლა, რაც არასწორი კვების შედეგია.

პოლიციის ოფიცერი ჯონ ჰეიმერი წიგნში "თჰე Eნტრანცინგ Fლამე" ვარაუდობს, რომ თვითაალების მიზეზი ფსიქოსომატურ პრობლემებში უნდა ვეძებოთ, რადგან თვითაალების მსხვერპლთა უმეტესობას აღწერენ, როგორც კარჩაკეტილ, მარტოსულ, დეპრესიულ ადამიანებს. მისი აზრით, ემოციური აღელვების ფონზე სისხლში არსებული აზოტი იწვევს მიტოქონდრიულ აფეთქებებს. მისი ვარაუდი გააკრიტიკეს ბიოლოგებმა და განაცხადეს, რომ აზოტი აფეთქებებს ვერ წარმოშობს და ვერც საწვავად იქნება გამოყენებული იმ დონეზე, რომ ადამიანის სხეული დაანაზშიროს. თვითაალებისას სხეული ყოველთვის იმაზე ძლიერ იწვება, ვიდრე უბრალოდ ცეცხლის მოკიდებისას. ზშირად ძვლებიც კი ნაზშირდება და იშლება. მხოლოდ რამდენიმე ნაწილი რჩება ხოლმე უვნებელი, მაგალითად, ტერფები, ხელის გულები, ზოგჯერ თავიც. ზშირად დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ ადამიანი საწოლში აალდა და საბანზე დამწვრობის არანაირი კვალი არ ყოფილა, იმის მიუხედავად, რომ კანის დაწვას, მინიმუმ, სამასი გრადუსი სჭირდება, სხეულისას – ათას ხუთასზე მეტი. თვითაალების ყველა შემთხვევა ხდება შენობებში. მსხვერპლნი ყოველთვის მარტოსული ან ცალკე მცხოვრები პიროვნებები არიან. მათი მეზობლები ამბობენ, რომ არ გაუგონიათ რაიმე ყვირილი ან კვნესა, რაც წესით თვითაალებას უნდა ახლდეს თან დამწვრობით გამოწვეული ტკივილის გამო. თვითაალებას გადარჩენილები, დები კლარკი და სუზან მოთსპედი აღწერენ, რომ ისინი ამ დროს ტკივილს არ გრძნობდნენ და მათი სხეული ლურჯად ანათებდა. თუმცა წყალთან შეხებისას თვითაალება შეწყდა.



მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

# ქვეყნები, რომლებსაც ჯარი არ ჰყავთ

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი... მას შემდეგ 81 წელი გავიდა, ადამიანებმა კი ომების გარეშე ცხოვრება ვერ ისწავლეს...

მარტო მე-20 საუკუნეში ომებმა 150 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა... ომი არამარტო ადამიანების სიკვდილი, არამედ დიდი ფინანსური დანაკარგებიცაა. დღეისათვის მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები ყოველწლიურად ტრილიონობით დოლარს ხარჯავენ თავიანთი არმიების შენახვისა და გაუმჯობესებისთვის.

დიდი ხარჯების მიუხედავად, ბევრი მთავრობა თავდაცვისთვის გაღებულ თანხებს გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს. მსოფლიო ხომ მშვიდობისთვის მზად არ არის...

მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე ქვეყანა, რომლებსაც საკუთარი ჯარი არ ჰყავს...

## სოლომონის კუნძულები

სოლომონის კუნძულები ათასი კუნძულისგან შედგება. მას შემდეგ, რაც გაერთიანებულმა სამეფომ ქვეყნის კოლონიალიზაცია მოახდინა 1893 წელს, მას არმია არასოდეს ჰყოლია. მეორე მსოფლიო ომის დროს სოლომონის კუნძულებზე დიდი ბრიტანეთის არმია იყო განლაგებული. 1998-2006 წლებში ქვეყანაში იმატა ეთნიკურმა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა დანაშაულმა. ამ პრობლემების გადასჭრელად სოლომონის კუნძულებზე ახალი ზელანდია და ავსტრალია შეიჭრა... დღეისათვის აქ მხოლოდ პოლიცია არსებობს.

სოლომონის კუნძულებმა ავსტრალიას ფული გადაუხადეს და თუ ვინმე მას ომს გამოუცხადებს, თავის დაცვაში ავსტრალია დაეხმარება.

## კოსტა-რიკა

ამ ქვეყანამ არმიის ლიკვიდაცია 1948 წელს, ელვისებური (რომელიც 44 დღეს გრძელდებოდა) სამოქალაქო ომის შემდეგ მოახდინა. ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ გადაწყვიტა, ჯარის შესანახად განსაზღვრული თანხები განათლების სფეროსთვის და პოლიციის შენახვისთვის გამოეყენებინა. მიუხედავად შიდა უსაფრთხოებისთვის გაღებული ხარჯებისა, პოლიცია პასუხისმგებელია საზღვრების დაცვაზე და ასრულებს ზოგიერთ ფუნქციას, რომლებსაც შეიძლება „მილიტარიზებული“ დავარქვათ. დღეისათვის კოსტა-რიკა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანაა ამერიკაში. 1947 წელს კოსტა-რიკა შეუერთდა ამერიკის სახელმწიფოების დახმარების ორგანიზაციის ხელშეკრულებას, რომელთა შორის არის აშშ, ჩილე და კუბა. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანს თავს დაესხმიან, დანარჩენი ქვეყნები განიხილავენ სამხედრო დახმარების საკითხს.

## სამოა

სამოას დღეისათვის არმია არ ჰყავს. ამის ნაცვლად ის ეყრდნობა მეზობელ ქვეყნებს, რომლებიც საომარ პირობებში მას დაეხმარებიან. სამოაში არის პოლიცია,


ანდორა

რომელიც, ბუნებრივია, სამხედრო ძალად არ მიიჩნევა.

არსებობს სამეგობრო ხელშეკრულება სამოასა და ახალ ზელანდიას შორის, რომელიც 1962 წელს გაფორმდა. ომის ან რომელიმე ქვეყნის თავდასხმის შემთხვევაში, სამოას შეუძლია სამხედრო დახმარებისთვის თავის მოკავშირეს მიმართოს.

## პალაუ

პალაუს ნაციონალური შეიარაღებული ძალები არ ჰყავს, მას ჰყავს ნაციონალური საპოლიციო განყოფილება, რომელიც მოქალაქეების დაცვის მიზნით შეიქმნა. ისევე, როგორც სხვა ქვეყნების საპოლიციო ძალები, პალაუს პოლიცია ვალდებულია დაიცვას მშვიდობა და რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ შიდა არასტაბილურობაზე. თუ ომი დაიწყება, პალაუ სხვა ქვეყნებს სთხოვს დახმარებას.

რადგან პალაუ მიერთებული ქვეყანაა, თავდასხმის ან ომის გამოცხადების შემთხვევაში, მას აშშ დაიცავს, რაც 1983 წელს აშშ-ში მიღებული თავისუფალი ასოციაციის შეთანხმებაშია გაწერილი.

## ანდორა

მიუხედავად იმისა, რომ ანდორას რეგულარული არმია არ ჰყავდა, მან 1914 წელს ომი გამოუცხადა გერმანიას და მისი საწინააღმდეგო მხარე დაიჭირა. 1931 წელს ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ოფიციალურად არმია ერქვა, ანდორის ნაციონალურმა პოლიციამ ჩაანაცვლა.

ამ პატარა ქვეყნის დაცვა ესპანეთსა და საფრანგეთს ევალება იმ საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც 1993 წელს მოეწერა ხელი. გარდა ამისა, თუ ეს ქვეყანას სჭირდება, ნატოს ჯარებიც იღებენ მის დაცვაში მონაწილეობას.

## პანამა

პანამას ნაციონალური გვარდია არ ჰყავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც აშშ-მ მანუელ ანტონიო ნორიეგას რეჟიმის ლიკვიდაცია მოახდინა, შეიარაღებული ძალებიც დაიშალა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პანამა კოლუმბიას ესაზღვრება და ჰყავს უსაფრთხოების სასაზღვრო კორპუსი, რომლის მოვალეობებში პატრულირება და პარტიზანებთან, ბანდებთან და სხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ბრძოლა შედის. თეორიულად ეს საპოლიციო ძალებია, რომელთაც ნაწილობრივ სამხედრო ფუნქციები აკისრია. თუმცა, ითვლება, რომ დღეისათვის პანამას არმია არ ჰყავს.


მონაკო

## ისლანდია

ისლანდიას არმია 1859 წლიდან არ ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ის ნატოს წევრია. არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება წყნარი ოკეანის ფლოტის, პოლიციის, სანაპირო დაცვისა და სპეციალური საპოლიციო ძალების შენაერთი. თუ ვინმე თავს დაესხმის ისლანდიას, არსებობს აშშ-ის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ამერიკის არმია ამ ყინულოვან ქვეყანას დაიცავს.

## მონაკო

მონაკო სრულფასოვანი ქვეყანა კი არა, უფრო ქალაქი-სახელმწიფოა, რომელიც საფრანგეთის რივიერაზე მდებარეობს. ამიტომ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში თქვა მან უარი სამხედრო ხარჯებზე. მონაკოს დაცვაზე მთლიანად საფრანგეთის მთავრობაა პასუხისმგებელი.

## გრენადა

ამერიკის შეჭრის შემდეგ გრენადამ ვერ შეძლო სტაბილური არმიის შექმნა. შეჭრის მიზეზი სამხედრო გადატრიალება და შიდა პოლიტიკური ბრძოლები გახდა. ამ შეჭრის შედეგად ქვეყანა დემოკრატიულ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც არ ჰყავს რეგულარული არმია, მას ჰყავს გრენადის სამეფო პოლიცია და აქვს უსაფრთხოების რეგიონალური სისტემა.

ომებისგან მას მეზობელი ქვეყნები დაიცავენ: ანტიგუა, ბარბადოსი, დომინიკი... ასევე, აშშ.

## ლიხტენშტეინი

უკანასკნელად ამ პაწაწინა ევროპულმა სახელმწიფომ საკუთარი არმია 1866 წელს, ავსტრო-პრუსიის ომში გამოიყენა, თუმცა ლიხტენშტეინის არმია მაშინაც კი ჩაბმულა ომში. ლიხტენშტეინი იძულებული იყო, ჰყოლოდა შეიარაღებული ძალები, რადგან გერმანიის კონფედერაციის წევრი იყო, მაგრამ როცა კონფედერაცია დაიშალა, ქვეყანას აღარ გამოუყვია თანხები სამხედრო ხარჯებისთვის. მშვიდობას ქვეყანაში ლიხტენშტეინის სამეფოს ნაციონალური პოლიცია იცავს.

ომის შემთხვევაში ლიხტენშტეინს შეუძლია საკუთარი არმიის შექმნა.

## ვატიკანი

მსოფლიოს ყველაზე პატარა ქვეყანას ოფიციალური არმია არ ჰყავს. თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა. ადრე სახელმწიფოს რამდენიმე სამხედრო დაჯგუფება ჰყავდა, რომლებიც ქვეყანას და რომის პაპს იცავნენ — ამ უკანასკნელს უმაღლესი პრიორიტეტი ჰქონდა. ეს დაჯგუფებები 1970 წელს პაპმა პავლე VI-მ გააუქმა.

დღეისათვის ვატიკანს ჰყავს შვეიცარიის სამხედრო კორპუსი, რომელიც მოწოდებულია, დაიცვას როგორც პაპი, ასევე ვატიკანის სასახლეც. არსებობს ასევე ჟანდარმთა კორპუსი, მაგრამ ეს უფრო საპოლიციო დაწესებულებაა, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, საგზაო მოძრაობის რეგულირებაზე, საზღვრების დაცვასა და დანაშაულთა გახსნაზე.

რადგან ვატიკანი რომში მდებარეობს, მის დაცვაზე სრული პასუხისმგებლობა იტალიას აკისრია.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## განცხადება

**ბორჯომის რეგიონში, სოფელ საკირეში, კეთილმოწყობილ აივნიან სახლში ქირავდება სამი იზოლირებული ოთახი (15, 15, 40 კვ.მ) სველი წერტილებით, ცხელი წყლით, ინდივიდუალური სასადილო-სამზარეულოთი, ინტერნეტით, დიდი ეზოთი.**

**ახლოსაა უფასო ბორჯომის მინერალური წყალი.**

**ფასი მოლაპარაკებით. ტელ.: 555 541 368.**



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99